# ქუჯი

„... და მაშინ განიხარებს ყოველი ქართველი“

№26, ოთხშაბათი, 10-23 ოქტომბერი, 2001 წელი

ფასი 40 თეთრი

## ინფორმაცია
### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2001 წლის 6 ოქტომბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის განცხადება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ბ. აფრასიძე);
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის მიმართვა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1992-93 წლებსა და შემდგომ პერიოდში პროვოცირებული კონფლიქტის გამო საქართველოს მოქალაქეთა გამოდევნის შემდეგ მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე უკანონოდ დასახლებული პირებისადმი (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განათლების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ზ. ძოწენიძე);
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივი კომისიის მოხსენება (ა. მათიაშვილი);
4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის მოხსენება (დ. ტაბიძე);
5. სხვადასხვა.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ალექსანდრე ქღენტი, ნიკოლოზ კილასონია, ზაურ კოსტავა, შალვა აბზიანიძე, თენგიზ კუბლაშვილი, ჯემალ იონათამიშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი, გურამ მაქაცარია, ლადო ცოფურაშვილი, გივი იმერლიშვილი, ტარიელ ფუტკარაძე და სხვები.

---

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის მიმართვა
### აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1992-93 წლებსა და შემდგომ პერიოდში პროვოცირებული კონფლიქტის გამო საქართველოს მოქალაქეთა გამოდევნის შემდეგ მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე უკანონოდ დასახლებული პირებისადმი

საქართველოს კანონიერი ხელისუფლება აუცილებლად თვლის მოგმართოთ:

საქართველოში კანონიერი ხელისუფლების რეალური მმართველობის აღდგენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გარდაუვალია.

გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მე-17 მუხლის მეორე პუნქტში მითითებულია: „არ შეიძლება, ვინმეს თვითნებურად ჩამოერთვას მისი ქონება" (იხ. აგრეთვე: დეკლარაცია, მუხ. 12; ადამიანის უფლებისა და ძირითადი თავისუფლებების ევროპის კონვენციის (პარიზი, 20.03.1952) პირველი მუხლი; საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია 37-ე, 53-ე მუხლები); გამომდინარე აქედან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის აღდგენისთანავე მოხდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან გამოდევნილ პირთათვის თავიანთი კერძო საკუთრების დაბრუნება და ზარალის ანაზღაურება; შესაბამისად, მიტაცებული ქონება (სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, მიწები, საწარმოები, სახლები...) ჩამოერთმევათ მათ, ვინც 1992-93 წლებში აფხაზეთში პროვოცირებული კონფლიქტის შემდეგ უკანონოდ მიითვისა სხვისი ქონება.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და 1992 წლის 13 მარტის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გროზნოს სესიის დადგენილების საფუძველზე, კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენის შემდგომ იურიდიულად გაუქმდება ყველა აქტი, ხელშეკრულება, გარიგება და სხვა უკანონო დოკუმენტი, რომელიც შექმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმარქვია ხელისუფლებამ.

| | |
|---|---|
| საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი | საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე |
| მანანა არჩვაძე-გამსახურდია | ვიქტორ ფხალაძე |

თბილისი, 2001 წლის 6 ოქტომბერი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის განცხადება
### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ

1990-91 წლებში ეროვნული ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად თავიდან იქნა აცილებული აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირება და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა, კერძოდ:

1. 1991 წლის 31 მარტს საყოველთაო რეფერენდუმში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას აფხაზეთის ასსრ-ში მხარი დაუჭირა კენჭისყრაში მონაწილეთა 99,08%-მა (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59,8%), რომლის ძალითაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა დე იურე საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია;

2. 1991 წლის 26 მაისს საპრეზიდენტო არჩევნებში აფხაზეთის ასსრ-ში ბატონ ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის საპრეზიდენტო პროგრამას ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილეთა 93,35%-მა. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის ამომრჩეველთა უმრავლესობამ კიდევ ერთხელ აღიარა აფხაზეთის ასსრ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში;

3. 1991 წლის 29 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ-ში ჩატარებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგად თავიდან იქნა აცილებული კრემლის, ადგილობრივი პარტნომენკლატურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების - „ეროვნული კონგრესის", „აიდგილარას", „სოიუზის", „კრუნკის" მიერ კონფლიქტის პროვოცირება, რის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება სრულიად აკონტროლებდა სიტუაციას აფხაზეთის ასსრ-ში და აქედან გამომდინარე, სტაბილური მშვიდობა დაამყარა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

1991-93 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება, 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის გარიგება, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირება, 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის, 1993 წლის 27 ივლისის სოჭის, 1994 წლის 4 აპრილის მოსკოვის, 2000 წლის 11 ივლისის სოხუმის ხელშეკრულებები, 1994 წელს საქართველოს რესპუბლიკის დსთ-ში გაწევრიანება, 1991 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით რუსეთის სამხედრო ძალებისათვის მინიჭებული საოკუპაციო სტატუსის მოხსნა და მათი ბაზების 25 წლით საქართველოს ტერიტორიაზე „დაკანონება" წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ნების უგულვებელყოფას და, შედეგად, ყოველივე ამას მოჰყვა რუსეთის სამხედრო ძალების მიერ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაცია, ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა, 300000 ადამიანის დეპორტაცია, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, სახელმწიფოებრიობის ნგრევა, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის უკიდურესი ტრაგედია.

რუსეთის ხელისუფლების მარიონეტი შევარდნაძის უკანონო რეჟიმი აგრძელებს რა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, 1998 წლის მაისის თვეში გალის რაიონში მოწყობილი პროვოკაციით განახორციელა ქართველთა გენოციდი და რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ნაწილები - ე.. სამთავრობო ძალბი დღემდე განაგრძობენ ქართველთა ეთნიკურ წმენდას და დახვრეტებს. ე.წ. რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტროლირებად ტერიტორიაზე 1993 წლიდან დღემდე 5000-მდე ადამიანი იქნა მოკლული.

აფხაზთა და ქართველთა ტრაგედიების მომწყობ არძინბას თვითმარქვია რეჟიმსა და შევარდნაძის უკანონო ხელისუფლებას არც შესწევთ ძალა და არც სურთ, აღადგინონ ტრადიციული მშვიდობიანი ურთიერთობები აფხაზეთის მოსახლეობაში, ვინაიდან ისინი რუსეთის იმპერიული სურვილების უსიტყვო შემსრულებლები არიან და მათ არ გააჩნიათ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების სამართლებრივ-პოლიტიკური ბერკეტები.

საქართველოს სახელმწიფოს დაშლის კატასტროფული ნგრევის შეჩერების რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის სამართლებრივ-პოლიტიკური და მორალური ბერკეტები მხოლოდ კანონიერ ხლისუფლებას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და მთავრობას გააჩნია.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, ქართველთა და აფხაზთა შორის საყოველთაო მშვიდობის საფუძველია კონსტიტუციური უწყვეტობის, სამართალმემკვიდრეობის ბაზის შენარჩუნება ანუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ფაქტობრივი ფუნქციონირების აღდგენა, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის საფუძველზე საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით საქართველოს გაერთიანება.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება საქართველოს სახელმწიფოს და მისი მოსახლეობის კატასტროფული მდგომარეობიდან გამოყვანა, სტაბილიზაცია და მშვიდობა საქართველოსა და მთელ კავკასიაში.

| | |
|---|---|
| საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი | საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე |
| მანანა არჩვაძე-გამსახურდია | ვიქტორ ფხალაძე |

თბილისი, 2001 წლის 6 ოქტომბერი

## მცხეთობა - სვეტიცხოვლობა

14 ოქტომბერი - დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა



ისევ პოლიტიკური რომანტიზმისა და პრაგმატიზმის შესახებ ანუ ცრუ არჩევნებით ცრუ ხელისუფლება ირჩევა! გვ. 2-3

„შადიმანიზმი" XXI საუკუნის მიჯნაზე გვ. 4

აფხაზეთში დაბრუნება მოხდება აფხაზი და ქართველი ხალხის ძალისხმევით გვ. 4-5

ორი დღე ტყვეობაში გვ. 6

მხატვრის თანამგზავრი ტანჯვაა გვ. 7

## რედაქტორის გვერდი

გაზეთ "ქუჯის" ივლისის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი "პოლიტიკური რეალიზმი და რომანტიზმი ომარ გვეტაძისეულად ანუ ერთი წლის მანძილზეც კი საქართველოს შენება რატომ არ აცალეს ზვიად გამსახურდიას და რატომ ანებებენ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს გაშაგრენისტყავებას?.." პუბლიკაციის ძირითადი აზრი ერთი ფრაზით ასე შეიძლება გადმოვცეთ: *საქართველოს დღევანდელი ყოფა ქართველთა დღევანდელი თაობის ბრალია, თაობისა სადაც უმრავლესობას შეადგენენ ილია ჭავჭავაძის გულუბრყვილოდ ინდიფერენტული პეტრეები და გაავაზაკებული ლუარსაბები...*

წერილმა დიდი დაინტერესება რომ გამოიწვია, რედაქციაში შემოსული წერილებითაც გამოჩნდა; კერძოდ, სამი სახის გამოხმაურება მივიღეთ: გვეთანხმებიან, გვეკამათებიან, გვაკრიტიკებენ...

ძირითადი მოკამათე თავად ბ-ნი ომარ გვეტაძე აღმოჩნდა, რომლის წერილსაც ქვემოთ გთავაზობთ; სხვებისგან კი ორ ძირითად მომენტს დავაფიქსირებთ:

ქ-ნი ნ.სიხარულიძე გვწერს: "თქვენი წერილით დავრწმუნდი, რომ საქართველოში კანონიერება და სამართალი აღსდგება, დავრწმუნდი იმიტომ, რომ გამარჯვების გარანტია რომ არ გქონდეთ, ასე გაბედულად არ დაუპირისპირდებოდით ამ სისხლიან მთავრობას..."

მეორე ქალბატონი თავის გვარს არ ამხელს, მაგრამ მწარედ იკბინება: "რას ერჩით ამ მთავრობას, მისგან ხელფასს ხომ იღებთ, მის დაფინანსებულ სიმპოზიუმებს ხომ ატარებთ, მეტი რა გინდათ? თან იყენებთ მას, თან ლანძღავთ... გაიგეთ, რომ გამსახურდიას ხელისუფლება დამარცხდა, დამარცხებულის ფასი კი, როგორც მურმან ლებანიძე ამბობს, კაპიკია..."

პირველ ქალბატონს იმედი უნდა გავუცრუო: ჩვენ გამარჯვების გარანტია არა გვაქვს; ჩვენ მართლები ვართ და ამიტომ გამარჯვების რწმენა გვაძლევს ბრძოლის ძალას... როცა გარანტია გაქვს, ბრძოლას ვაჟკაცობა აღარ სჭირდება...

ინკოგნიტო ქალბატონს კი ვურჩევთ გამოიყენოს ღვთისგან მიცემული აზროვნების უნარი და მოგვისმინოს:

ისტორიაში ბევრი წმინდანი და გმირია, რომელიც აწმყოში დამარცხდა, მაგრამ მისი თავგანწირვის მაგალითზე აღზრდილმა თაობებმა დიდი გამარჯვებები მოიპოვეს... ზვიად გამსახურდიას მოწამეობრივი ცხოვრება და თავგანწირული ბრძოლა გორგასალის დარად მრავალ გამმარჯვებელ თაობებს აღზრდის, ლებანიძის "გაუაზრებელი" წყობილსიტყვაობა კი რაც დრო გავა, მით უფრო ნაკლებ ქართველს დააბნევს; გარდა ამისა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არ დამარცხებულა, ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ: ჩვენი მიზანია საქართველოს გათავისუფლება რუსის ჯარისა და ხელისუფლებაში მოკალათებული მძარცველებისგან და ამას დღეს თუ არა ხვალ მაინც მივაღწევთ! რაც შეეხება დე ფაქტო ხელისუფლების "წყალობის" საკითხს:

არსებული დე ფაქტო ხელისუფლება ხელფასს კი არ გვაძლევს, გვართმევს! ჩემი თუ სხვისი შრომის შესაბამის ანაზღაურებას ეს მთავრობა არ იძლევა; ჩვენთვის განკუთვნილ თანხას ჩინოვნიკები საკუთარ ჯიბეში იდებენ!..

სასიხინოდ არც სიმპოზიუმების თემა გამოგადგებათ:

უნივერსიტეტის რექტორატის ოფიციალური წერილის საფუძველზე, ქალაქის ბიუჯეტი სიმპოზიუმისთვის გამოყოფს გარკვეულ თანხას, თანხას, რომელიც ხალხის გადასახადებისგან არის შეკრებილი და არა დე ფაქტო მთავრობის ჩინოვნიკთა პირადი შემოსავლებისგან! სახელმწიფო და სახელმწიფოს ბიუჯეტიც ხალხისაა და არა რომელიმე მთავრობისა, ამიტომ თქვენც ნუ ემათხოვრებით ნურც ერთ მთავრობას; თქვენც მოითხოვეთ თქვენი კუთვნილი, საზოგადოებაც გააქტიურდეს სიმართლისა და ღირსების დასაცავად და ქვეყნის საქმეც გამოკეთდება...

გაიგეთ, სიმპოზიუმი ხალხის, ე.ი. ჩვენი ფულით ფინანსდება!

ახლა კი ძირითად საკითხს მივუბრუნდეთ:

1. რა შედეგებამდე მიიყვანა ქვეყანა შევარდნაძის ე.წ. პრაგმატისტულმა პოლიტიკამ? სახელმწიფოსა და ყველა სხვა ფასეულობის ნგრევამდე!

2. როგორ უნდა გამოვიდეთ არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ჩიხიდან?

ჩვენი აზრით, გამოსავალი ზნეობრივი პოლიტიკა და კანონიერებაზე დაფუძნებული აღმშენებლობაა; აღმშენებლობის სათავე კი კანონიერი და საყოველთაო არჩევნები უნდა იყოს...

თუმცა ჯერ პოეტ ომარ გვეტაძის პოლიტიკურ განსჯას მოვუსმინოთ:

# ისევ პოლიტიკური რომანტიზმისა და პრაგმატიზმის შესახებ

ომარ გვეტაძე

## წერილი მეგობარს

*ამას წინათ, მეგობრულ თავყრილობაზე, როგორც ჩვენთან ხშირად ხდება, პოლიტიკურ თემაზე ჩამოვარდა საუბარი და უკანასკნელი დროის პოლიტიკური მოვლენების შესახებ საკუთარი თვალსაზრისებიც გამოითქვა. ჩემი მეგობრის ფრიად განათლებული და ერუდირებული პიროვნების, ყოფილი პრეფექტისა და ერთ დროს პოლიტიკური მოვლენების აქტიური მონაწილის ტარიელ ფუტკარაძის პოზიციას მე რატომღაც რომანტიკული ვუწოდე. მან საჭიროდ ჩათვალა ჩემთვის პასუხი საჯაროდ, საკუთარი გაზეთის ფურცლებიდან გაეცა, სადაც ჩემი, «პოლიტიკურად საშუალო ფენის" /ტ.ფ./ მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება პუტჩისშემდგომი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მეტად საშიშ ტენდენციად მიიჩნია. პირადი საუბარი სხვაა, მაგრამ როცა მეგობარი საჯარო პაექრობაში გიწვევს, აქ მართლაც უნდა ითქვას სიმართლე და უნდა ამოქმედდეს საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი: პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას.*

*მე რომ პოლიტიკოსი ვიყო, ანდა რომელიმე პარტიის წევრი /რისიც არავითარი სურვილი არ გამაჩნია/, მაშინ, ალბათ, შექებად მივიღებდი იმ სიტყვებს, რომლითაც ტარიელი ჩემი მისამართით ამბობს: «ფაქტია, რომ ომარისებური ხედვა დღეს ბევრსა აქვს საქართველოში, სწორედ ამიტომ ვართ 21-ე საუკუნის დასაწყისში მოსკუ უდაბნოში"-ო. ნამდვილად არ მეგონა, თუ ამხელა გავლენას ვახდენდი დამოუკიდებელი საქართველოს დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციაზე. კიდევ ერთი წინასწარმეტყველური ფრაზა მოვიტანოთ: «როცა ჩემი მეგობარი ომარი და სხვა ჩვენი თანამედროვენი მიხვდებიან, რომ... ქვეყანაც მაშინ დაიწყებს აღორძინებას!". თუ ჩემი მეგობრის პროგნოზის წინაპირობა მართალია, მაშინ მე მისი წერილის კრიტიკას უყოყმანოდ მივიღებ, ტარიელისებურად დავიწყებ აზროვნებას და ქვეყანაც აშენდება, მაგრამ ასე რომ არაა?*

*დღევანდელობის ერთი დიდი უბედურება ისაა, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ზედმეტად პოლიტიზირებულია. მართლაცდა ვინ არ იბრალებს პოლიტიკოსობას მედოლე მასწავლებელი, ყოფილი «ბირჟავიკი", ექიმი, დიალექტოლოგი და ასე შემდეგ. მათში ისეთებიც ბევრია გუშინ რომ თანამდებობებზე მუშაობდნენ და «ჩამოლაშორანტების" შემდეგ განაწყენება და გულნამცეცობა პოლიტიკური ამბიციების საფუძვლად გაუხდიათ. მაინც რა გამბრუებელი სიტკბო და ძალა აქვს თანამდებობას, ჩინოვნიკის სკამს? ჩემი მეგობარი ტარიელი ნუ გამინაწყენდება, და ასე მეჩვენება საქართველოს მომავალზე ზრუნვის სახელით პესიმისტი რომანტიკოსივით მისტირის ყოფილ უზენაეს საბჭოს, მის ხელისუფლებო სტრუქტურებს, ალბათ, - ისევ დაგვაბრუნეთ ჩვენს-ჩვენ ადგილებზეო!*

*კი ბატონო, ახალი საქართველოს მშენებლობაში ხელი შეუშალეს, მაგრამ ის პერიოდი, როცა ხელისუფლებას ფლობდნენ რა ია და ვარდი გადააყარეს ხალხს თავზე? ერთი მაშინდელი ლიდერი ამაყად რომ აცხადებდა - ბალახს შევჭამთ, ოღონდაც დამოუკიდებლები ვიყოთო, დღეს სრულიადაც არ ჰგავს ბალახის ნაჭამს, არც მის თანამებრძოლებს გაუზიარებიათ ეს ალტაცება, ხალხს კი, იცოცხლე აჭამეს! მე ხმამაღლა ვაცხადებ, რომ სანამ ჩვენს ქვეყანაში იბატონებს ის მენტალიტეტი, რომლის მიხედვით თანამდებობა საკუთარი კეთილდღეობის, ნათესავ-მეგობრების «დახმარების", სახელმწიფოსათვის მოპარული მილიონების დაკანონების წყარო იქნება, მანამდე არც ჩვენ და არც მომავალ თაობას არაფერი ეშველება! ჩემი მეგობარი ტარიელი პატიოსანი კაცია, მაგრამ დავუშვათ «უბრალო და პატიოსანმა ხალხმა" /ტ.ფ./ აიღეთ ხელში საოჯახო დანები, ფიწლები, ჩანგლები არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ და დააბრუნეთ ყოფილი უზენაესი საბჭო, ტარიელიც დაბრუნდება ბათუმის პრეფექტად /ან უფრო დიდ თანამდებობაზე/, მაგრამ ის და რამდენიმე მისთანა ხომ ვერ მოიყვანს გაზაფხულს? უახლესი ისტორიიდან საკუთარი დაკვირვებითაც კარგად ვიცით, რომ იმათ, ვისაც ერთ დროს ქვეყნის ბედი ებარა, რა შესანიშნავად მოირგეს სავარძლები და ისარგებლეს თანამდებობრივი ძალაუფლებით. მიმაჩნია, რომ ეს სოციალური განუკითხაობა, ეკონომიური და ზნეობრივი ქაოსი, რაც დღეს საქართველოში სუფევს არის ლომის წილად სწორედ სახელისუფლო ორგანოების კორუმპირებული წარმომადგენლების ბრალი. აქ ნუ დავიწყებთ დავას «ზვიადისტები" იქნებიან ისინი თუ მოქალაქეშირელები, ხალხისათვის ეს ხომ სულ ერთია!*

*ჩემი- «გვეტაძისეული" ხედვა ისაა, რომ ხელისუფლების სათავეში უნდა მოვიდნენ ჭეშმარიტად ეროვნული ძალები, ეს ზოგადად, კონკრეტულად კი ის ცალკეული პიროვნებები, რომლებიც საკუთარ ჯიბეზე კი არ იზრუნებენ, შემოსული კრედიტებით და უკანონოდ მითვისებული თანხებით სიდედრის სახელზე კი არ ააშენებენ ფეშენებელურ სასახლეებს, არამედ სოციალურად და ეკონომიურად დაუცველ ქართველ ერზე იზრუნებენ. არ არის საჭირო ბალცეროვიჩების, მსოფლიო ბანკისა და მისთანების საეჭვო რეკომენდაციები, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, სახელისუფლებო ორგანოებში უნდა მოვიდნენ განათლებული, სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე პიროვნებები, რომლებიც არ იქნებიან დამძიმებულნი კომუნისტური მართვის ხერხების ყაი-ცოდნით და მაშინ ვნახოთ, გავივლით თუ არა უდაბნოს ბიბლიურ დროზე ადრე. მინდა ასევე იცოდეს ჩემმა მეგობარმა, რომ მე არ ვაიგივებ ეროვნული თვითმყოფადობის იდეასა და მათ, ვისაც ამ იდეის განხორციელების მისია დაეკისრა კონკრეტულ დროს, კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში. ეროვნული თვითშეგნების იდეა უკვდავია. იგი «ქართლის ცხოვრებიდან" და «შუშანიკის წამებიდან" მოყოლებული ქართველი ხალხის არსებობის აუცილებელი პირობაა, თუმცა ამ იდეას ან მეტ-ნაკლებად ახორციელებდნენ ან თაობები ეწირებოდნენ! ბევრი მედროვეც მიეტმასნია ამ წმინდა საქმეს, ბევრსაც კარგად «უსარგებლია" ამ გარდამავალი პერიოდით. სამწუხაროდ, ალბათ, დამეთანხმება ბატონი ტარიელი, რომ ამ ვითარებას ვერც წინა ხელისუფლება აცდა.*

*როგორ უნდა მოხდეს ეროვნული სულისკვეთების მქონე ძალების ხელისუფლებაში მოსვლა? ისევ სისხლის ღვრით? ისევ ანგარიშსწორებითა და ძმათა შორის სიძულვილით? რა თქმა უნდა, არჩევნების გზით! «ფუტკარაძისეული" აზრით, კი ეს არის არარეალური პოლიტიკური გზა, რადგან თურმე პატიოსანი ადამიანი და პარტია ვერ გაიმარჯვებს უკანონო ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში. კი მაგრამ ამომრჩეველი, ხალხი ხომ არა არის უკანონო? მე შორსა ვარ იმ აზრიდან, რომ წინა არჩევნები ტენდენციური არ იყო. მაგალითად, ქუთაისში /და არა მარტო ჩვენს ქალაქში/ ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგები აშკარად გაყალბებული იყო.*

*კიდევ ერთხელ გამართლდა სტალინისათვის მიწერილი ერთი ფრაზა: მთავარი ის კი არ არის ვინ იღებს მონაწილეობას არჩევნებში, არამედ ის, ვინც ითვლის ხმებს.*

*მოქალაქეშირის აქტივისტებმა კიდევ ერთხელ მოატყუეს და გააცუცურაკეს ამომრჩეველი, მაგრამ მე, როგორც რეალისტს მიაჩნია, რომ ეს ვითარება დროებითია.*

*ამ ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს ჩვენი ხალხის პოლიტიკური კულტურის ამაღლების შეუქცევადი ტენდენცია. ერი თანდათან ილვიძებს ორასწლოვანი ლეთარგიული ძილიდან, ამიტომაც არ მიმაჩნია მართებულად ჩემი მეგობრის აზრი, რომ ოპოზიციამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს არჩევნებში.*

*ტარიელისნაირთა შეხედულებით პუტჩის მერე თურმე ცხოვრება, ამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა აღარ შეიძლება, სწორედ ეს აწმყოთი უკმაყოფილების რომანტიკული გზაა მცდარი ჩემი მეგობრისა. აქედან გამოდის, რომ ეროვნული მოძრაობის ძალებში არ უნდა შეიცვალოს მოქმედების ტაქტიკა და სტრატეგია, არამედ ყოფილმა უზენაესი საბჭოს წევრებმა და საერთოდ, იმ ხელისუფლების წარმომადგენლებმა თურმე ერთმანეთს უნდა უძახონ კრემლისა და სუკის აგენტები, შექმნან პარალელური პარტიები, მმართველი ორგანოები და ა.შ. ეს გზა კარგია? დასაშვებია?*

*სადაა ის ერთიანობა, რომელიც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა პრეზიდენტმა გამსახურდიამ პირველ ხანებში მის გარშემო დაამკვიდრა! იმის კატეგორიული განცხადება, რომ სამართალმემკვიდრე უზენაესი საბჭოს აღდგენის გარეშე არ შეიძლება ეროვნული საქმეების კეთება - მეორე უკიდურესობაა. აქ ამგვარად მოქმედებს პრინციპი - ვინც ჩვენთან არაა, ვინც შევარდნაძეს არ ლანძღავს და არ აგინებს - ის პუტჩისტია, მტერია!*

*იქნებ ისიც არ უნდა ვთქვა გარკვეული ტაბუს გამო, რომ სამწუხაროდ წინა ხელისუფლების მოღვაწეობამ პოლიტიკური მარცხი განიცადა /და არა ეროვნული მოძრაობის, დამოუკიდებლობისკენ მისწრაფების იდეამ/. ვინ აღუდგა მას წინ? რასაკვირველია, ბნელი ძალები, წითელი ინტელიგენცია და ა.შ. მაგრამ «საშუალო ფენა"? «უბრალო ხალხი"? არა. ჩემო დიდაქტიკოსო მეგობარო, ისევ მის მიერ ხელდასმულნი.*

*ზემოთქმულიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ უნდა გავისიგრძეგანოთ ის მიზეზები, რომლებმაც გახლიჩეს ქართული ცნობიერება, მტკივნეული დარტყმა მიაყენეს ეროვნულ მოძრაობას. ამიტომაც მიმაჩნია, რომ აღთქმულ ქვეყნამდე ჯერ კიდევ შორი გზა გვაქვს გასავლელი. დღევანდელი ნეოკომკავშირული, ნეოკომუნისტური სახელისუფლებო ელიტა, რა თქმა უნდა, ერის წინამძღოლად ვერ გამოდგება, მაგრამ ჩემი «რეალისტური" რწმენით, ვერც თუნდაც რეამინირებული უზენაესი საბჭო ვერ შეცვლის რასმე.*

## ჩემო მეგობარო ომარ!

პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ როცა ჩემი წერილი დაიბეჭდა, მეგონა, მადლობას მეტყოდი პრობლემურ საკითხზე საჯარო პაექრობის წამოწყებისა და შენი ნიჭიერი პოეზიის შეფასებისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა; უფრო მეტიც, თურმე შენ გარწმუნებდნენ, რომ მე მტრულად მოგექეცი...

## პატივცემულო მკითხველო

ომარს ეყო კაცობა და წამსისინებლებს არ აჰყვა, ოღონდ, თავისი აზრით, პლატონის როლში ჩამაყენა და გამომეკამათა...

ჩემი მიზანი იყო და რჩება, რომ სწორედ მეგობრებმა ვუთხრათ ერთმანეთს გულწრფელი ნააზრევი, შევეცადოთ, ჩავწვდეთ ერთმანეთის არგუმენტებს და საზოგადოებასაც მივცეთ თავისუფალი განსჯისა და არჩევანის საშუალება.

ბ-ნი ომარ გვეტაძის ნააზრევთაგან მხოლოდ რამდენიმე ფრაზას შევეხმიანები:

1. აუმხედრდნენ თუ არა ზვიად გამსახურდიას მისი ხელდასხმულნი?

თვით რუსებმაც არაერთხელ დაბეჭდეს, რომ პუტჩი მოსკოვში დაიგეგმა და რუსის ჯარისვე დახმარებით განხორციელდა! გამსახურდიას მკვლელობას დღესაც ერთმანეთს აბრალებენ შევარდნაძისა და გიორგაძის მომხრენი! რით ველარ გაიგეთ, რომ პუტჩის ორგანიზატორებს ეროვნულ ხელისუფლებაში თავიანთი აგენტურა ჰყავდათ შეგზავნილი! მათ "ციხე" შიგნიდან გატეხეს ე.ი. ოფიციალურად ღალატი ჩაიდინეს! ისინი პირველი პრეზიდენტის კი არა რუსეთის იმპერიის კადრები იყვნენ...

2. ვისთან შეიძლება თანამშრომლობა და რას ნიშნავს არჩევნები ომარ გვეტაძისეულად?

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა მრგვალმა მაგიდამ ორი წლის წინ გამოაქვეყნა მემორანდუმი, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სულ ახლახან მიიღო მიმართვა, სადაც მკაფიოდ ჩამოყალიბებულია ჩვენი პოზიცია:

ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, ვინც გმობს ხელისუფლების ძალადობით ცვლას და ვინც მხარს დაუჭერს უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრე და საყოველთაო არჩევ-

გვ. 3

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივი კომისიის

# მოხსენება

მეგობრებო! როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის კონსტიტუციით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით „საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტის შესახებ" და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის დროებით დებულებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივ კომისიას უშუალოდ ეხება 107-ე მუხლი, სხვა კომისიებთან ერთად კი 116-ე და 117-ე მუხლები. მოგვყავს ეს მუხლები:

მუხლი 107. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მის მიერ არჩეული სამანდატო კომისიის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში კი - ცალკეული დეპუტატების არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ.

მუხლი 116. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს, რათა მათ აწარმოონ საკანონმდებლო მუშაობა, წინასწარ განიხილონ და მოამზადონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ სხვა გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საჭიროებისამებრ ნებისმიერი საკითხის გამო ქმნის დროებით კომისიებს.

მუხლი 117. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონებსა და სხვა გადაწყვეტილებებს როგორც წესი, იღებენ მას შემდეგ, რაც პროექტებს წინასწარ განიხილავენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრის დადგენილების „საქართველოს უზენაესი საბჭოს დროებითი რეგლამენტის შესახებ" მე-9 მუხლში ნათქვამია: „საქართველოს უზენაესი საბჭოს განსახილველად კანონპროექტის ან სხვა საკითხის შემტანი ორგანო ან ორგანიზაცია ნიშნავს მომხსენებელს. საქართველოს უზენაესი საბჭოს მუდმივ და სხვა კომისიებს შეუძლიათ გამოყონ თანამომხსენებლები იმ საკითხებზე, რომლებსაც სესია განიხილავს. მომხსენებლებისა და თანამომხსენებლების შესახებ აცნობებენ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის კომისიას საჭიროდ მიაჩნია, „დროებითი რეგლამენტიდან" მოუხმოს აგრეთვე იმ მუხლებს, რომელიც დეპუტატთა უფლებამოსილების საკითხებს ეხება.

მუხლი 1. საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომები ტარდება, თუ მათ ესწრება საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის უმრავლესობა. უზენაესი საბჭოს წევრთა რიცხვი განისაზღვრება დეპუტატთა კორპუსის ფაქტობრივი რაოდენობით. თითოეული სხდომის წინ წარმოებს სხდომაზე მოსულ წევრთა რეგისტრაცია.

მუხლი 3. დროის მოხსენებისთვის, თანამომხსენებისა და [illegible] და თანამომხსენებლებთან შეთანხმებით.

კენჭისყრა კამათში გამოსვლისათვის სიტყვის მიცემის შესახებ შეაქვს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. კამათში გამოსვლისათვის პირველად ეძლევათ 10 წუთამდე, მეორედ - 5 წუთამდე. სხდომის გაძღოლის, აგრეთვე კენჭისყრაში მოტივების თაობაზე გამოსვლისა და ცნობებისათვის ეძლევათ 3 წუთამდე.

სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია საჭირო შემთხვევაში კენჭისყრის შედეგად გააგრძელოს გამოსვლის დრო.

მუხლი 4. კამათი წყდება საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით. კამათის შეწყვეტის წინ სხდომის თავმჯდომარე აუწყებს უზენაესი საბჭოს წევრებს გამოსვლისათვის ჩაწერილთა და გამოსულთა რიცხვს.

კამათის შეწყვეტის შემდეგ მომხსენებლებსა და თანამომხსენებლებს უფლება აქვთ გამოვიდნენ საბოლოო სიტყვით.

დეპუტატს შეუძლია, თავისი წინადადებები და შენიშვნები სესიაზე განსახილველი საკითხის შესახებ გადასცეს თავმჯდომარეს წერილობით.

მუხლი 5. საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებები საპროცედურო საკითხების თაობაზე მიიღება სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ხმების უმრავლესობით. საქართველოს ყველა კანონი და სხვა აქტები მიღებულად ითვლება, თუ მათ ხმას მისცემს უზენაესი საბჭოს საერთო რიცხვის უმრავლესობა, ხოლო ისეთი კანონი, რომელიც ცვლის კონსტიტუციას - თუ მას ხმას მისცემს უზენაესი საბჭოს წევრთა სულ ცოტა 2/3.

მუხლი 6. ერთსა და იმავე დეპუტატს ერთი და იგივე საკითხის განხილვისას მეორედ გამოსვლა შეუძლია მხოლოდ სხდომის გადაწყვეტილებით.

მუხლი 11. შესწორებები კანონის ან სხვა აქტის პროექტის თაობაზე დეპუტატს შეაქვს წერილობით. შესწორებებს სხდომის თავმჯდომარე აცნობს სხდომას. დეპუტატის თხოვნით მას ეძლევა სიტყვა შეტანილი შესწორების დასასაბუთებლად.

კანონებისა და სხვა აქტების პროექტთა შესწორებებს კენჭს უყრიან. საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით შესწორებები შეიძლება გადასცენ შესაბამის კომისიებს ამ შესწორებათა გამო წინადადების მოსამზადებლად. კომისიათა წინადადებებს კენჭს უყრიან საქართველოს უზენაეს საბჭოში. დეპუტატის მოთხოვნით მის მიერ შეტანილ შესწორებებსაც, რომლებიც წინასწარ განიხილეს შესაბამის კომისიებში, კენჭი უნდა უყარონ.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებით დებულებას, მისი მე-8 მუხლით სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის კომისიას ევალება:

1) შეამოწმოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილება და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს განსახილველად წარუდგინოს წინადადებანი დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ხოლო საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების კანონის დარღვევის შემთხვევაში - ცალკეულ დეპუტატთა არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე;

2) მოამზადოს და საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინოს წინადადებანი უზენაესი საბჭოს გამოკლებულ წევრთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნების ჩატარების შესახებ;

3) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეიმუშაოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა აქტების პროექტები და წინადადებანი დეპუტატთა საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოამზადოს და წარუდგინოს დასკვნები კომისიისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული ამგვარი საკითხების თაობაზე.

4) მოამზადოს დასკვნები დეპუტატის ხელშეუხებლობასა და დეპუტატის სხვა საქმიანობის გარანტიებთან დაკავშირებით, აგრეთვე სადეპუტატო ეთიკის, დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერების, შეწყვეტის ან დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მეგობრებო! როგორც მოხმობილი დოკუმენტებიდან ნათლად დავინახეთ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივ კომისიას სხვა კომისიებთან ერთად ფრიად მნიშვნელოვანი უფლებამოსილებანი და საპასუხისმგებლო მოვალეობანი გააჩნია. ჩვენი კომისია მოვალეა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფუნქციონირებას, მის რიტმულ მუშაობას, გადაჭრით აღკვეთოს მისდამი დისკრედიტაციისა და საბოტაჟის ყოველი მცდელობა, არ დაუშვას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული პროექტების თვითნებურად შეცვლა და დამახინჯება (როგორც ამას აკეთებდნენ დეპუტატები: დ. გოგაძე და დ. ფიროსმანაშვილი), უზრუნველყოს სესიაზე უფლებამოსილ დეპუტატთა დროული გაფრთხილება და ყველა სესიის დადგენილ დღესა და საათზე ჩატარება.

ყველას უნდა ახსოვდეს და მტკიცედ იცოდეს, რომ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს გადარჩენის ერთადერთი გარანტია კანონიერი ხელისუფლების დე ფაქტო აღდგენაში მდგომარეობს. კანონიერ ხელისუფლებაში კი რა ადგილი უკავია საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ეს ყველამ კარგად იცის, იცის მტერმაც და მოყვარემაც!

დღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის კომისია თავს იკავებს სახელდებით დაასახელოს იმ დეპუტატთა გვარები, რომლებიც მრავალგზის გაფრთხილების შედეგადაც კი, შიშისა თუ სხვა ფაქტორების გამო არ მოდიან სესიებზე.

აქედან გამომდინარე არ შეიძლება, დიდი პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ის დეპუტატები, რომლებიც მიუხედავად დიდი ფინანსური სიძნელეებისა და დედაქალაქიდან მოშორებით ცხოვრებისა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიებს, უმცირესი გამონაკლისის გარდა ყოველთვის ესწრებიან.

საქართველოს უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივი კომისია არც ამის შემდეგ შეურიგდება სადეპუტატო ეთიკის მსგავს და სხვა ხასიათის დარღვევებს. მხოლოდ მტკიცე დისციპლინითა და მტკიცე შეკავშირება-ერთსულოვნებით მივაღწევთ საქართველოს დამპყრობლების მიერ სიკვდილის პირას მიყვანილი დედა-საქართველოს გადამრჩენელ გამარჯვებას.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ საშვილიშვილო და ღვთიურ საქმეში!

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადეპუტატო ეთიკის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე*
***აკაკი მათიაშვილი***
*5.10.2001 წ.*

## რედაქტორის გვერდი

გვ. 2

ნების: ჩვენ მიგვაჩნია და გასულმა 10-მა წელმაც დაადასტურა, რომ საქართველოს გადარჩენა მხოლოდ კანონიერად დანიშნულ საყოველთაო არჩევნებს შეუძლია! ყველა სხვა შემთხვევაში კვლავ გაგრძელდება მოძალადე კლანების პარპაში. დღემდე რა მოგვცათ თქვენს მიერ ხმამიცემულმა ცრუ არჩევნებმა? ცრუ არჩევნებით ცრუ ხელისუფლება ირჩევა!

3. ვინ იბრძვის თანამდებობისთვის და რისი შეცვლა შეუძლია უზენაეს საბჭოს?

1991-92 წლების მიჯნაზე განხორციელებული პუტჩის დროს და შემდეგ ხუნტა შეეცადა საქართველოშიც გაეთამაშებინა აზერბაიჯანული ვარიანტი და საკანონმდებლო ორგანო თავის სამსახურში ჩაეყენებინა... დეპუტატთა კარიერისტი ნაწილი მართლაც გადაიბირა, მაგრამ, საბედნიეროდ, მრავალი საფრთხის მიუხედავად, უმრავლესობა საქართველოს დამოუკიდებლობისა და პრინციპების ერთგული აღმოჩნდა და საქართველოს დღემდე შეუნარჩუნა ეროვნული ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა...

# ისევ პოლიტიკური რომანტიზმისა და პრაგმატიზმის შესახებ

პუტჩის შეგუებულ ხალხს ჯალის მარგის ფსიქოლოგია უყალიბდება; სამართლიანობის აღდგენა შელახული ღირსების აღდგენა იქნება ხალხისთვის; გარდა ამისა, პუტჩით მოსულმა უკანონო ხელისუფლებამ ბევრი ანტიქართული ხელშეკრულება გააფორმა, ამდენად, მათ გადასასინჯად საქართველოს უთუოდ დასჭირდება ეროვნული ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა... მსგავსი პრეცედენტი, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს უახლოეს ისტორიაშიც გვაქვს:

ნოე ჟორდანიას ხელისუფლების შეუწყვეტელ სამართალმემკვიდრეობაზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენ იურიდიული ნორმების იმდენად ზუსტი დაცვით გამოვაცხადეთ, რომ იმპერია ნახევარი წლის შემდეგაც ვერ მოეგო გონს და პუტჩის გზას დაადგა, გზას, რომელმაც მხოლოდ დროებით დაგვაკარგვინა დამოუკიდებლობა... სწორედ უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობით მოხდება ამ პუტჩის შედეგების ლიკვიდაცია... ამას თქვენც უთუოდ მოესწრებით, ბ-ნო ომარ! ასე რომ, გმართებთ ერთმანეთისგან განასხვავოთ კარიერიზმი (ცუდი გაგებით) და ქვეყნისთვის სამართალმემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა.

კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ: ვისაც უნდოდა თანამდებობაზე დაბრუნება, ის მაშინვე დაბრუნდა კიდეც სახელმწიფო საბჭოში; ჩვენ კი დევნილობასა და ციხეებში აღმოვჩნდით. პირადად მე დედაქალაქიდანაც ამომკვეთა ფეხი და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ კეთილშობილი ადამიანების დახმარებით, მუშაობა დავიწყე ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში... რაც შეეხება ბათუმის პრეფექტობას: მე ეს თანამდებობა პუტჩით არ დამიკარგავს! პუტჩამდე დიდი ხნით ადრე პრეფექტობა ჩემი ნებით(!) დავტოვე რუსებისა და თურქების მიერ შექმნილი უკანონო ავტონომიის შენარჩუნების მომხრე აბაშიძესთან კონფლიქტის გამო. ამდენად, არავითარი ნოსტალგია არ გამაჩნია თანამდებობების მიმართ; ჩემთვის მთავარია, საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობა დაიწყოს; მე შესანიშნავი პროფესია და ფართო სამეცნიერო ასპარეზი მაქვს. ერთსაც შევახსენებ ბ-ნ ომარს, რომ სწორედ პრინციპებისადმი ერთგულებისა და ბათუმისა თუ თბილისის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ჩემი დაპირისპირების გამო, ამ ათი წლის მანძილზე ფაქტობრივად უმუშევარი დარჩნენ მამაჩემი და ჩემი ძმები; 57 წლის მამაჩემი შეეწირა კიდეც ამ ნერვიულობებს...

აქვე მინდა შევეხო პოლიტიკოსობის თემას:

საბჭოთა პერიოდში საქართველო თავისი პოლიტიკური ცხოვრებით არ ცხოვრობდა, ამდენად, საქართველოს დღესაც კი არ შეიძლება ჰყავდეს პოლიტიკოსები ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით: დაპყრობილ და ერთპარტიულ ქვეყანას საზოგადო ასპარეზზე ჰყავს კოლაბორაციონისტები, ან დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლნი; ბ-ნ ომარს რომ პრაგმატისტი პოლიტიკოსები ჰგონია, ისინი თავიანთ კარიერას პრინციპებისა და ბოსების წარამარა ცვლით ინარჩუნებენ...

გარდა ამისა, ჩემი აზრით, ნამდვილი პოლიტიკა ზნეობრივ და სამართლებრივ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს. პოლიტიკა ბინძურ საქმედ არ უნდა მივიჩნიოთ: ყველა ქვეყანას სჭირდება ხელისუფლება; როგორ შეიძლება შეეგუო აზრს, რომ ქვეყანას ბინძური ხალხი უნდა მართავდეს; მთავრობა თუ ცუდია, კანონის მიხედვით უნდა შეიცვალოს... სხვა მხრივ სახელმწიფო ვერ აშენდება, ჩვენი კულტურა და ცნობიერება ვერ განვითარდება...

თუ ამომრჩეველი უკანონო და ცრუ არჩევნებზე მივა, ხელისუფლებაც ცრუ აირჩევა... და ვართ კიდეც ამ სიცრუეში 10 წელია, აღარ უნდა გამოვიფხიზლოთ, ბატონო ომარ?

ბოლოს, ისევ ილია ჭავჭავაძის პეტრეს დავაკვირდეთ:

- "მე რა შუაში ვარო! - დაიძახა კვნესით და რთოლით შეშინებულმა პეტრემ.

პეტრე მთლად ცახცახებდა.

მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს..."

1879 წ.

P.S. სწორედაც რომ პეტრეების ყურბანული გულუბრყვილობა თუ დანაშაულებრივი ინდიფერენტიზმია დღევანდელ საქართველოში იმპერიის დუდუკზე მოცეკვავე მოძალადე კლანთა პარპაშის მიზეზი... ნიჭიერ კაცს შეუძლია პეტრეების გარკვევა, ამიტომ, ყველა პატიოსანი ადამიანი საზოგადო ასპარეზზეც უნდა გააქტიურდეს, პატივცემულო ოპონენტო!

**ტარიელ ფუტკარაძე**
2001 წ.

ჩვენი ტკივილი

# აფხაზეთში დაბრუნება მოხდება აფხაზი და ქართველი ხალხის ძალისხმევით

ისტორიულად საქართველოში არაერთი ტრაგედია დატრიალებულა, არაერთ ბრძოლაში გამარჯვებულვართ და დამარცხებულვართ, ყოფილა ნგრევა და მსხვერპლი, ყოფილა თავგანწირვა და ღალატიც– დიდი მსხვერპლის ფასად წარსულში ტერიტორიებიც დაგვიკარგავს, დღესაც გულმოკლულნი რომ მივსტირით... XXI საუკუნის მიჯნაზე, ამ თითქოსდა ცივილიზაციის ხანაში, საქართველოს ისტორიაში მოხდა კიდევ ერთი სამარცხვინო ტრაგედია – ჩვენ აფხაზეთი დავკარგეთ, უფრო სწორად მოღალატე ქართველებმა აფხაზეთი მტერს დაუთმეს.


აფხაზეთი დღეს

დღეს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთაა დაფანტული. მათი შეკავშირება მხოლოდ თბილისში ხერხდება.

გესაუბრებათ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი პოლიტიკური პარტიებისა და სახალხო წარმომადგენელთა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ელგუჯა გულედანი, რომლისთვისაც 1995 წლის 27 სექტემბერი მეორე ტრაგედიად იქცა – ამ დღეს მისი ერთადერთი ვაჟი, 17 წლის მანუჩარი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

*– 27 სექტემბერს რვა წელი შესრულდა აფხაზეთის დაკარგვის დღიდან. როგორ შეაფასებდით ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთის დაბრუნების მცდელობას?*

– კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: 27 სექტემბერი საქართველოს გაუბედურების თარიღია. ეს თარიღი ქართველი ერისთვის არის ტრაგედიის დღე, ათასობით გაუბედურებული ადამიანის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის დღე! რაც შეეხება ფაქტობრივი ხელისუფლების პოლიტიკას ამ რვა წლის განმავლობაში, ფაქტიურად, უნდა შეფასდეს არა თუ რაიმე მცდელობად, არამედ მათ ყოველნაირად ხელი შეუწყვეს აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის მსოფლიო დონეზე აღიარებას და სეპარატისტების აღზევებას (ეკონომიკურად, იდეოლოგიურად, პოლიტიკურად). ეკონომიკურში იგულისხმება საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ ის დიდი ძალისხმევა და ხელშეწყობა, როგორიცაა კონტრაბანდული ტვირთების აფხაზეთის ტერიტორიაზე მოძრაობა, საზღვაო და სახმელეთო საზღვრების უკონტროლობა. ფაქტიურად, აფხაზეთი არცერთი დღე ეკონომიურ ბლოკადაში არ ყოფილა, არც რუსეთის, არც თურქეთის და არც საქართველოს მხრიდან.

*– ომის პერიოდში აფხაზეთის ხელისუფალნი იმედიანი თვალით შეჰყურებდნენ შევარდნაძეს. დღეს რაში ხედავენ აფხაზეთის ხსნას, ისევ „დიდი პოლიტიკოსის" იმედი აქვთ?*

– რაც შეეხება შევარდნაძეს, როგორც „დიდ პოლიტიკოსს", საქართველოს დასასუსტებლად მოვლენილ უფუნქციოდ დარჩენილ დიდი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც უცხო ქვეყნების დახმარებით ფეხქვეშ გათელა ქართველი ხალხის ნება და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფასურად სისხლში ჩაახრჩო არეალი, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო, ომის პერიოდშიც ჰქონდა აფხაზეთის ზოგიერთი ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან დიდი მხარდაჭერა და პირადი ერთგულებითაც სარგებლობდა. დღეს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო საბჭოს მეთაური, საბჭოს გვერდის ავლით იღებდა საქართველოსათვის დამღუპველ გადაწყვეტილებებს (მხედველობაში მაქვს განჯის 345 ბატალიონის გუდაუთაში გადაყვანა, 27 ივლისის მოლაპარაკების შემდეგ მძიმე ტექნიკის აფხაზეთიდან გაყვანა ქართველი მხარის მიერ), როდესაც შევარდნაძე ერთი ყურმილიდან ელცინის ბრძანებებს ისმენდა და მეორე ყურმილით შეიარაღებული ძალების მეთაურებს მის ბრძანებებს კარნახობდა: „დატოვეთ ტყვარჩელი", „დატოვეთ ლაბრა", „არცერთი ნაბიჯი გუმისთის იქით", „გაგრა უნდა ჩაბარდეს" და სხვა მრავალი, – სამშობლოს ღალატი სახეზეა, რასაც აგრეთვე საქართველოს ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი შემსრულებლისა და ავტორის, თვით თ. სიგუას მიერ შევარდნაძის საწინააღმდეგოდ, ნაწილ-ნაწილ აღიარებული და გამოქვეყნებული ფაქტებიც ადასტურებს. აფხაზეთის ომის დამთავრების შემდეგ სერიოზული ძიება დაიწყო მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა, აწ განსვენებულმა ალ. მუშანაშვილმა, რის შედეგადაც იგი დაუყონებლივ გაათავისუფლეს. დარჩა დაუმთავრებელი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი გამოძიება, რომელიც დღეს მიჩქმალულია და ბურუსითაა მოცული. ყველა ამ უბედურების შემდეგ, რაც აფხაზეთში ხდებოდა, საკმარისია ვთქვა – საქართველო ტოტალურმა ღალატმა წალეკა. საერთო ჯამში კი ვიტყოდი, წლების განმავლობაში, ე.წ. პრეზიდენტის ხელდასმით ხორციელდება ანტიქართული საქმე, რაც გამოიხატება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევით, არმიის გეგმაზომიერი განადგურებით, საზღვაო ფლოტის განიავებით, ბუნებრივი რესურსების გაჩანაგებითა და ჩალის ფასად უცხოეთში გატანით, ეროვნების გაუქმებით, მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმართ მრავალგვარი სექტების დაპირისპირებით, საფლავების გაძარცვით (საფლავებზე დარაჯები უყენიათ, რათა შემოღობილი საფლავები ალუმინისაგან არ გაძარცვონ), ახალგაზრდობის მომავლის უპერსპექტივობაში ქადაგებით, შეგნებულად დეპოლიტიზირებითა თუ არატრადიციული ორიენტაციების აგიტაციით, ნარკომანიისა თუ პროსტიტუციის აყვავებით, საქართველოდან მილიონ ნახევარი, ყველაზე ჯანსაღი ქართველების გადინებით, ანტიქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მომრავლება-გაძლიერებით, საინფორმაციო საშუალებების უცხო ქვეყნების მიერ უზურპაციით, ანტიქართული იდეოლოგიის დამკვიდრებით, პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრებითა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით, არასრულყოფილი კონსტიტუციის მიღებით (რომლის არცერთი მუხლი არ სრულდება), სადაც ადგილი არ მოიძებნება ყოფილი ავტონომიებისათვის, რის გამოც აფხაზეთი ჩვენივე ინიციატივით ამოვაგდეთ კონსტიტუციიდან. გამეფებულია აუტანელი სოციალური სიდუხჭირე, გაუსაძლისი ფასები სამედიცინო მომსახურებაზე, გაუცემელი პენსიები, ხელფასები, ერის გათიშულობა, კუთხეების ერთმანეთთან დაპირისპირება. ერთი სიტყვით, დამკვიდრებულია იდეა ფიქრად ქცეული ცალმხრივად მიმართული საგარეო პოლიტიკა და ქვეყნის დამქცევი საშინაო პოლიტიკა, რომლის იქითაც ქართველმა ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ უკვე ზღვარი აღარ არსებობს. ყოველივე ამ უბედურების დამტრიალებელი და სულისჩამდგმელია საქართველოს კორუმპირებული ე.წ. ხელისუფლება და პარლამენტი, რომელიც ხალხის მიერ არ არის არჩეული. სწორედ ასეთ ხელისუფლებას, სამწუხაროდ, დღესაც იმედის თვალით შეჰყურებენ მავანნი.


სოხუმი

*– უშიშროების გენერალი ი. ბარამიძე ამბობს: „ელცინმა და არძინბამ ჩვენი პრეზიდენტი მოატყუეს, 27 ივლისის მოლაპარაკების შემდეგ*

გვ. 5

(დასაწყისი წინა ნომერში)

# „შადიმანიზმი" XXI საუკუნის მიჯნაზე

ბატონო აკაკი, მოღალატური გონის ამოქმედების შედეგი იყო თქვენი ზუგდიდში ჩამოსვლა და პრეზიდენტის სახელით, ვითომ სისხლისღვრის აცილების მიზნით ხალხის შეჩერება. აბა, თქვენი საპირისპირო აგიტაციის (თუ ისურვებდით) შედეგად აღმდგარიყო მთელი საქართველო, ავისმქმნელები თუ არ დაიხევდნენ უკან?!

ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობა გაიგივებული იქნა ზვიად გამსახურდიას სახელთან, რომელიც, სამწუხაროდ, დემაგოგებმა „ზვიადიზმად" მონათლეს, ხოლო მისი მიმდევრები ზვიადისტებად. სინამდვილეში, თვითონ გამსახურდიას ფილოსოფიური თუ პატრიოტული ორიენტაცია ყოველგვარი „იზმებისგან" შორს იყო. თუმცა დემაგოგები რისი დემაგოგები იყვნენ, მითუმეტეს კომუნისტურ ეპოქაში გაზრდილები, – ზვიადისთვის „იზმის" იარლიყი არ მიეწებებინათ. მთავარი იყო მისი სახელის შელახვა ათასგვარი ბინძური ეპითეტებით. თუ ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობას განვიხილავთ, როგორც იდეოლოგიურ მიმდინარეობას და მას ზვიადის პატივსაცემად „ზვიადიზმით" მოვნათლავთ, ამაში ცუდი არაფერი უნდა იყოს, მაგრამ მავანთათვის მთავარი ეს არ იყო. მთავარი იყო ამ სიტყვის დამკვიდრებით იგი გაეიგივებინათ „მარქსიზმთან", „ლენინიზმთან" და ყოველგვარ უწყინო ანტიხალხურ „იზმებთან", რითაც მიაღწევდნენ ზვიად გამსახურდიას და, შესაბამისად, „ზვიადიზმის" სიძულვილს. როგორც ცხოვრებამ დაამტკიცა, პირველი პრეზიდენტის ოპონენტებმა ქართველების არანაკლებ 90%-ში ვერც ზვიადის და ვერც „ზვიადიზმის" სიძულვილი ვერ დაამკვიდრეს. თუმცა, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და მოვიშველიოთ ქართული ანდაზა – „ძალა აღმართს ხნავს". ანდაზის ამ კონკრეტულ შემთხვევაში განმახორციელებელი ძალა საქართველოში არ მოიპოვებოდა და დღესაც არ მოიპოვება, მაგრამ უბედურება ისაა, მარიონეტული აზროვნების საქართველოს ვაიშვილების მიერ ეს ძალები გამოძებნილ იქნა საქართველოს ფარგლებს გარეთ. გაიხსენეთ ახლად ფეხადგმული ეროვნული მთავრობის რუსული იარაღით დამხობა და შემდგომ მოგვიანებით გენერალ ბალტინის მეთაურობით ფოთის პორტზე რუსული ტანკების გადმოსხმა და ამ ძალებით ეროვნული მოძრაობის საბოლოოდ ჩახშობა.


შადიმანიზმის შედეგი

მარიონეტი რისი მარიონეტია, თუ ის თავისი ერის მტრის წისქვილზე არ დაასხამს წყალს, მაგრამ ისინი ხალხის თვალში მალე გამჭვირვალენი ხდებიან და ადეკვატურ სიძულვილსაც იმსახურებენ. სიძულვილის ფენომენი შეიძლება ხალხის საწინააღმდეგოდაც მოქმედებდეს, მაგრამ არანაკლებ მოქმედებს იგი მარიონეტების მიმართ, რითაც საბოლოო ჯამში ქვეყანა გამოდის დამარცხებული. აწყობს ეს სიტუაცია ჩვენს ქვეყანას? არა და არა, მაგრამ ავადმყოფურ დამოკიდებულებას სავარძლის სიყვარულის მიმართ ვერა და ვერ ვშველით, რითაც ქვეყნის ნგრევა გარანტირებულია.

უფრო საშიში მოვლენაა შადიმანიზმის მოძალება, რომლის მიმდევრები „მეფესთან" თბილად არიან მოკალათებულნი, მაგრამ მწარედ ღალატობენ მას. ასეთ ადამიანთა მოღალატური „მოღვაწეობა" საზოგადოებისათვის ძალიან გვიან ხდება გასაგები. შედეგი მათი მოღალატური „მოღვაწეობისა" უაღრესად დამანგრეველია ქვეყნისათვის. აბა, გავიხსენოთ ზვიად გამსახურდიას გვერდით მდგომი ქართველები, რომლებმაც შადიმანის როლი ბრწყინვალედ ითამაშეს და ამ საქმეში დიდ მსახიობთა ნიჭი გამოავლინეს. ერთი ასეთი პიროვნება დასახელდა გაზეთ „ქუჯის" 2001 წლის №№24-25-ში გამოქვეყნებული ამავე სახელწოდების სტატიაში. წინამდებარე სტატიის მომდევნო გმირი გახლავთ შადიმანიზმის ერთ-ერთი მიმდევარი აკაკი ასათიანი, რომლის მოღვაწეობა ბევრისთვის დღემდე არ არის ცნობილი. მისმა მოღალატურმა მოღვაწეობამ არანაკლებ და უფრო უარესი შედეგი გამოიღო, ვიდრე სიგუა-კიტოვანის ქაშუეთის ეკლესიიდან მთავრობის სახლის მისამართით დამიზნებულმა ზარბაზნებმა.

ალბათ, მავანი იფიქრებს – რა გააკეთა აკაკი ასათიანმა ასეთი, მას იარაღი არც კი აუღია ხელში. დიახ, იარაღი მას მართლაც არ აუღია კანონიერი ხელისუფლების დასაცავად და სწორედ, ეს არის მისი მოღალატური საქმიანობა. მკითხველი გამიგებს, ალბათ, ერთი კაცის მიერ იარაღის აუღებლობაზე არ არის ლაპარაკი. იგი განუდგა პრეზიდენტს. გავიხსენოთ ბატონი აკაკი ასათიანის შადიმანური ხრიკები. ყველაზე პასუხსაგებ მომენტში პრეზიდენტის მიტოვება და ქობულეთში ვითომ სამკურნალოდ წასვლა. თვითონ ბატონ აკაკის რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ მისი ასეთი მოქმედება შეთანხმებული იყო პრეზიდენტთან ან ასე იყო საჭირო. დავუჯეროთ ვითომ?!

ალბათ, იცით, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ თქვენი მოქმედება ხალხისთვის მალე ცნობილი გახდა. დიდ ტყუილს დიდი ნიჭი სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ არ გაგაჩნიათ, თუმცა, სხვას კი უკიჟინებდით, უწიგნური კაციაო. მე კი ვფიქრობ, წიგნთან ერთად ცხოვრებისეული ნიჭია საჭირო, რომელიც ქვეყანას წაადგება. ასევე ჟანგბადივით საჭიროა შადიმანური აზროვნების ამოგდება გონებიდან. სწორედ მოღალატური გონის ამოქმედების შედეგი იყო თქვენი ზუგდიდში ჩამოსვლა და პრეზიდენტის სახელით, ვითომ სისხლისღვრის აცილების მიზნით ხალხის შეჩერება. აბა, თქვენი საპირისპირო აგიტაციის (თუ ისურვებდით) შედეგად აღმდგარიყო მთელი საქართველო, ავისმქმნელები თუ არ დაიხევდნენ უკან?! ბატონო აკაკი, თქვენი და თქვენისთანების შადიმანური ხასიათის გამო საქართველოს ბლომად აღინეს სისხლი და ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტიც გაანადგურეს. ასე, რომ თქვენს ვითომ „ძალისხმევას", შეგეჩერებინათ სისხლისღვრა, ვერაფერს დაარქმევ, გარდა პოპულისტობისა. ფაქტი ერთია, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობა ერთ საარჩევნო ვადაში ვერ მოითმინეთ. თქვენს შადიმანობაში უფრო დავრწმუნდი, როცა პრეზიდენტის განდევნის შემდეგ არაკანონიერ პარლამენტში აღმოჩნდით დეპუტატობის ბარათით ხელში, რომელსაც ვინ იცის, ვის მხარდასაჭერად იყენებდით. ბატონო აკაკი, როგორ უყურებთ კანონიერი პრეზიდენტისა და ხალხის ინტერესების გამანადგურებლების სახეს (მათ ხომ ყოველ სესიაზე ხვდებით?). ალბათ, ისევ იტყვით, ზვიად გამსახურდიამ ასე დამიბარაო, ან ასეა საჭირო...

ბატონო აკაკი, ის დაგიბარათ პრეზიდენტმა, საქართველო კატასტროფის კარამდე მიგეყვანათ? ახლა ადგებით და საქართველოს კატასტროფამდე მიყვანას სხვას გადააბრალებთ... ეს ხომ თქვენი ერთ-ერთი ჰობია. თუმცა, საზოგადოება ამ ათ წელიწადში იმდენად ინფორმირებული და, თუ გნებავთ, პოლიტიზებული გახდა, მისთვის პოლიტიკური თუ ათასგვარი რეჟიმის ანალიტიკოსების გარეშეც ყველა მოვლენა ნათელია. ასე, რომ ტყუილად გაირჯებით, თუ ხალხის თვალში ნაცრის შეყრას და გაბრიყვებას დააპირებთ.

ბატონო აკაკი, ამ ბოლო დროს თქვენი სკივრი კიდევ ერთი შადიმანობით გაამდიდრეთ. არ გამკვირვებია თქვენი გაერთიანება ბლოკ „აღორძინებასთან". ეს თქვენი ბოლო ნაბიჯიც ისევე შადიმანური სუნამოთი არის გაჟღენთილი – მსგავსმა მსგავსი ნახა.


[illegible] წელიწადი

დიდ პოლიტიკას დიდზე დიდი ნიჭი სჭირდება, ბატონო აკაკი, და ამავე დროს დიდი სიბრძნე და სერიოზულობა, რომლის დეფიციტის გამოც საქართველო იღუპება. ეშველება კი ქვეყანას? ღმერთმა ქნას.

გ. მარტვილელი

(დასაწყისი წინა ნომერში)

ამბავი მათიაშვილი

# ზვიად გამსახურდიას გვარის გენეალოგიის შესახებ

დღეისათვის ერთი რამ სრულიად უდავოა: უკვე გამოვლენილი ისტორიული საბუთებიდან ცხადზე ცხადია, რომ ვახტანგ VI-ის მეფობამდე დიდი ხნით ადრე აზნაურები ყოფილან პავლე ტფილელი (გამსახურდია) და მისი ძმიშვილი გიორგი მამუკას ძე გამსახურდია, რუისის ეკლესიის კუთვნილება ყოფილა იოანე გამსახურდია, რომლის შვილიშვილიც იოანე იორდანეს ძე შემდგომში საკომლო დავთარში გამსახურდიაშვილად ჩაუწერიათ, ალავერდის წმიდა გიორგის ეკლესიის კუთვნილად ნებაყოფლობით ჩაეწერა დემეტრე გამსახურდია (გამსახურდიაშვილი) თავის ოჯახთან და განუყრელ უმცროს ძმასთან - გაბრიელთან ერთად. როგორი საზოგადოებრივი მდგომარეობა ეკავათ ამ სახელოვანი და ძირძველი ქართული გვარის სხვა განშტოებათა წარმომადგენლებს, დღეისათვის ამის თქმა ძნელია, ვინაიდან ჯერჯერობით ამის თაობაზე ისტორიული სიურპრიზები კიდევ არაა გამოვლენილი და ამას მომავალი კვლევა-ძიება მოჰფენს ნათელს.



მაგრამ რაც ჩვენი საზოგადოების მთავარ ყურადღებას იპყრობს, ის ხომ სრულიად უდავო და შეუვალი ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომ 1703 წლიდან თავის წინაპართა მშობლიურ კუთხეში - ოდიშში ხელახლა დამკვიდრებული, თბილისის მიტროპოლიტის პავლე ტფილელის (გამსახურდიას) ძმიშვილი გიორგი მამუკას ძე გამსახურდია დიდი ზვიადის წინაპარი იყო. სწორედ გიორგი გამსახურდია იყო ყველა აბაშელი და ნოსირელი გამსახურდიების უშუალო წინაპარი. ამიტომ სრულიად მართებულნი იყვნენ ნოსირელი ძმები გიორგი და პეტრე გამსახურდიები, როცა გიორგი VI-ის მიერ თბილისის მღვდელმთავარ, მიტროპოლიტ პავლე ტფილელისა და გიორგი გამსახურდიასათვის ბოძებული წყალობის სიგელის თაობაზე მოგვიანებით წერდნენ: „იგი ეკუთვნის ჩვენი გვარის ყველა წევრს, რომლებიც ნაწილობრივ ცხოვრობენ ნოსირში, ნაწილობრივ კი აბაშაში, ე.ი. ისინი, ჩვენი გვარის ყველა წევრი, წარმოშობილნი არიან ერთი წინაპრისაგან - გიორგი გამსახურდიასაგან, რომელსაც მის ბიძა მიტროპოლიტ პავლესთან ერთად ებოძა ეს სიგელი". (დ. ხანანაშვილი, ოდიშელ გამსახურდიათა წინაპარი, გაზ. „ქუთაისი", 1983წ. 20/V; გაზ. ლიტერატურული საქართველო" 1991წ. 15/XI). უფრო ზუსტად გარკვევით და უკეთ თქმა შეუძლებელია!

მკვლევარი დ. ხანანაშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს თბილისის მიტროპოლიტ პავლე ტფილელის (გამსახურდიას) ღვაწლს ძმისშვილის გიორგი გამსახურდიას ოდიშში დამკვიდრების საქმეში. იგი წერს: „თვით ტფილელი მიტროპოლიტი პავლე? ვფიქრობთ, თვითონ პავლე ოდიშში არ დარჩენილა (რასაკვირველია, არა! იგი 1703 წლიდან 1724 წლამდე უცვლელად თბილისის მღვდელმთავარი იყო, რის შემდეგაც თურქთაგან ლტოლვილ მეფეს მოსკოვში გაჰყვა - ა.მ.), მისი როლი ამ შემთხვევაში ასე გვესახება: მან ძმისშვილი ოდიშში გადმოიყვანა, სამთავროს კარზე, პატივი და მამული (უნდა იყოს: მამულები და ყმაგლეხები - ა.მ.) მიაღებინა და თვით უკან გაბრუნდა" (იქვე). ჩემს მიერ გაკეთებული შენიშვნების ჩათვლით აქ წარმოდგენილია ზუსტი და სრული სურათი, რაც მოხდა ოდიშში 1703 წელს პავლე ტფილელთან და მის ძმისშვილ გიორგი გამსახურდიასთან დაკავშირებით.

როდის გადმოვიდნენ გამსახურდიების გვარის წარმომადგენლები ოდიშიდან ქართლში და ქართლიდან კახეთში, დღეისათვის დადგენილი არაა, მაგრამ ერთი რამის თქმა გარკვევით და მტკიცედ შეიძლება: ეს უნდა მომხდარიყო ძნელბედობისა და ჟამთა სიავის გამო, რაც ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის 60-იანი წლები) მთელი ჩვენი სამშობლოსა და მისი ცალკეული კუთხეებისათვის უცხო ხილი როდი იყო! ეტყობა გიორგი გამსახურდიას ანდამატივით იზიდავდა თავისი მშობლიური ოდიში და იქ დაბრუნება ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. ეს ოცნება მას სინამდვილედ უქცევს სახელმოხვეჭილმა ბიძამ, პავლე ტფილელმა და ოდიშის მთავარმა გიორგი VI-მ.



ვინაიდან ამ ისტორიულ და კეთილშობილურ საქმეში განუზომელია პავლე ტფილელის (გამსახურდიას) ღვაწლი და ამაგი, საჭიროდ და აუცილებლად მიმაჩნია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღეისათვის ცნობილ მხარეებზე საუბარი. 1998 წლის თიბათვის 19-ს გაზეთ „სიტყვა ქართულის" ფურცლებზე ვწერდი:

„ამ ბოლო ხანებში საქართველოს მთავარი საისტორიო არქივებისა და ხელნაწერების ინსტიტუტის ფონდებში მივაკვლიე რამდენიმე ისტორიულ საბუთს, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებენ პავლე ტფილელის (გამსახურდიას), დემეტრე გამსახურდიაშვილის (გამსახურდიას) და მის (დემეტრეს) შთამომავალთა ღვაწლს სამშობლოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე. მხედველობაში მაქვს XVIII საუკუნის 20-იან და 60-იან წლებში შედგენილი საბუთები".

ამჯერად, სახელდობრ ჩემს ყურადღებას იპყრობს თბილისის მღვდელმთავრის, მიტროპოლიტ პავლე ტფილელის (გამსახურდიას) დიდებული პიროვნება. მოვიხმოთ 1720 წლის მკათათვის 15-ით დათარიღებული საბუთი, რომელიც აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერების ინსტიტუტშია დაცული. იგი ეკუთვნის პამფილიის მიტროპოლიტ პართენს და მიმართულია პავლე ტფილელისადმი. ვიდრე ამ საბუთის შინაარს შევეხებოდე, საჭიროდ ვთვლი მოკლედ მოგითხროთ პამფილიის ყოფილი ეპარქიის შესახებ.

ისტორიული პამფილია მდებარეობდა სამხრეთ მცირე აზიაში კილიკიასა და ლიკიას შორის. პამფილიის ოლქი დასახლებული იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან შერეული ბერძნებით. ოლქის მიწა-წყალი წარმოადგენდა ცალკე საეპისკოპოსოს (სამწყსოს), რომელიც შედიოდა ანტიოქიის საპატრიარქოში. იგი ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებლური ეკლესიაა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ჩვენი ტკივილი

# აფხაზეთში დაბრუნება მოხდება აფხაზი და ქართველი ხალხის ძალისხმევით

გვ. 4

***ქართული მხარე განაიარაღეს, აფხაზებმა კი იარაღი გადამალეს და მერე ამ იარაღით შემოგვიტიეს". ასე ხდებოდა თითქმის ყველა მოლაპარაკების შემდეგ. როგორ ფიქრობთ, „პრეზიდენტი ასე ხშირად ტყუვდებოდა?"***

- რაც შეეხება ყველა დოკუმენტს, რომელიც მოლაპარაკებების დროს იქნა ხელმოწერილი, შევარდნაძე არათუ მოატყუეს, არამედ ხელი მოაწერინეს იგივე ელცინის ძალისხმევით. ასე, რომ ამას შევარდნაძეზე ვერ ვიტყვით, რომ ტყუვდებოდა - ყველაფერი ეს კეთდებოდა შეგნებულად. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ გროზნოდან გამოგზავნილი მიმართვები, სადაც ყოველივე წინასწარმეტყველურად იყო აღნიშნული, რა შედეგსაც შემდეგ ვიღებდით. ამ მიმართვებით იგი ქართველ ხალხს, განსაკუთრებით აფხაზეთის მოსახლეობას მოუწოდებდა უკომპრომისო ბრძოლისაკენ, მაგრამ, როგორც იტყვიან „ძალა აღმართს ხნავსო" - ამ მოძალადეების ხელში პატიოსანი მებრძოლები უძლურნი აღმოჩნდნენ.

***- მერვე წელია აფხაზეთი დე ფაქტოდ გასულია და საქართველოს ე.წ. ხელისუფლებას, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ არანაირი გეგმა არ შეუდგენია, თუ როგორ უნდა გადაწყდეს პოლიტიკურად მისი დაბრუნება...***

- არა თუ გეგმა, მინიშნებაც კი არ არსებობს აფხაზეთის დაბრუნებისა. დღევანდელ დე ფაქტო ხელისუფლებას, როგორც ცენტრალურს, ასევე აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, აფხაზეთის პრობლემების მოგვარების არანაირი სურვილი არ გააჩნიათ. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის პრობლემების გადაწყვეტა პირდაპირ კავშირშია ზოგიერთი მაღალჩინოსნების და აფხაზეთიდან დევნილი ელიტარული ნაწილის კეთილდღეობასთან. როგორც იტყვიან: „чем хуже, тем лучше". ერის ინტერესები შეეწირა და ეწირება კრიმინალებსა და გაკრიმინალებული ხელისუფლების მერკანტილურ ინტერესებს. ასე, რომ „ალბული აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნება, რომლის ინიციატივითაც შევარდნაძე გამოდის, ან საპირისპირო - ომის გზით აფხაზეთის დაბრუნება (ნადარეიშვილი), ეს არის მშვენიერი სატყუარა გულუბრყვილო დევნილებისათვის, რომელთა რიგებშიც ორივე მიმართულებას ჰყავს საკმაო მიმხრე. რეალურად აფხაზეთის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ, ორივე ამ მიმართულების ეფექტურად გამოყენებით.

***- „ახალი მსოფლიო წესრიგი", როგორც ვიცით, კატეგორიულადაა წინააღმდეგი ახალი, პატარ-პატარა სახელმწიფოების შექმნისა. იმედია, აფხაზეთის დე იურედ ცნობასაც მხარს არ დაუჭერს, თუკი საქართველოს მოძალადე ხელისუფლება „ჭკუასა და გონებას" მოიხმობს...***

- „ახალი მსოფლიო წესრიგი, დემოკრატია, ადამიანთა უფლებების დაცვა" და სხვ. მშვენიერი ლოზუნგებია, მაგრამ 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარმა საზარელმა ღვთის რისხვამ მსოფლიოს დაანახა, რომ ერთია დეკლარირებული ლოზუნგები მსოფლიოს ცივილურად მოწყობის შესახებ და მეორეა რეალობა. მონოპოლარული მსოფლიოს შექმნის ყველა მცდელობა, დაწყებული მაკედონიით, დამთავრებული ინგლისის დიდი იმპერიით თუ ფაშისტური გერმანიით, თუნდაც მსოფლიო კომუნიზმის იდეებით, ყველა კრახით დამთავრდა. ამერიკელები იგივე შეცდომას სჩადიან, როდესაც საკუთარი ცხოვრების მოდელს თავს ახვევენ ტერიტორიულად მისგან არსებულ ეთნიკურ, სულიერად, რელიგიურად განსხვავებულ სახელმწიფოებს. შეუძლებელია, ქართველმა იცხოვროს ამერიკული ან სხვა ქვეყნის წესით, ეს ეხება, რა თქმა უნდა, მუსლიმანურ ქვეყნებსაც. ფუნდამენტალიზმის, ისლამის გაჩენა პირდაპირ კავშირშია იმ სუბლიმაციური კულტურის სხვა ხალხებზე ძალით თავს მოხვევისა, რასაც ბოლო ათწლეულში ადგილი ჰქონდა აშშ-ს მხრიდან. ამიტომ თანამედროვე მსოფლიოში ტერორისტების, კამიკაძეების და ფანატიკოსი შეურიგებლების გაჩენაში გარკვეული წვლილი მათაც მიუძღვით. გარდა ამისა, არსებობს უფალი და მისი სამართალი. მსოფლიოს ახსოვს უძველესი ამერიკული ტომების (ინკები, მაია, აცტეკები და სხვ.) განადგურება. ამერიკის ისტორიიდან ცნობილია უამრავი ფაქტი ადამიანთა უფლებების, რასობრივი და წოდებრივი პრინციპის უხეში დარღვევებისა. ხალხს ახსოვს კორეა, ვიეტნამი; იმ უდანაშაულო ასიათასობით ქალებისა და ბავშვების საზარელი, ელვისებური ტრაგედია, რაც მოხდა ხიროსიმასა და ნაგასაკში და სხვ. ამიტომ უფალმა, ალბათ, საჭიროდ ჩათვალა, ის უბედური ადამიანები, რომლებიც შეეწირნენ ამ ტრაგედიას, მსხვერპლად მიეღო, რათა ეს ყოფილიყო საბოლოო გაფრთხილება მთელი კაცობრიობისათვის, რომ ბოროტება ყოველთვის ბოროტებას შობს.

> აფხაზეთის ომის დამთავრების შემდეგ სერიოზული ძიება დაიწყო მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა, აწ განსვენებულმა ალ. შუშანაშვილმა, რის შედეგადაც იგი დაუყონებლივ გაათავისუფლეს. დარჩა დაუმთავრებელი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი გამოძიება, რომელიც დღეს მიჩქმალულია და ბურუსითაა მოცული.

რაც შეეხება უშუალოდ პატარ-პატარა სახელმწიფოების აღმოცენების წინააღმდეგ არსებულ დეკლარაციულ დოკუმენტებს, რომლებიც გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დაყრდნობით თითქოსდა ეწინააღმდეგებიან პატრა-პატარა სახელმწიფოების შექმნას, ამის უარსაყოფად საკმარისია ბალკანეთის მაგალითი. ყველა დოკუმენტი, რომელიც აფხაზეთთან დაკავშირებით შეიქმნა, ნებისმიერ დონეზე ატარებს დეკლარაციულ ხასიათს და არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია. ამდენად, ე.წ. მეგობარი ქვეყნები, შევარდნაძის პირადი მეგობრები, რომელთაც საქართველოში თავისი ფინანსური ინტერესები გააჩნიათ, წარმოადგენენ ფიქციას.

***- თუკი უახლოეს მომავალში, მართლაც მოხდა სასწაული და ჩვენ აფხაზეთი დაგვიბრუნეთ, როგორ ფიქრობთ, დევნილი მოსახლეობის რამდენი პროცენტი დაბრუნდება აფხაზეთში?***

- დევნილთა ლიგას გააჩნია ყველაზე რეალური მონაცემები დევნილთა როგორც რაოდენობაზე, როგორც საქართველოს შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; ასევე ის სამწუხარო სტატისტიკური მონაცემები, რაც გაუბედურებული დევნილების თვითმკვლელობებს, ტრაგიკულად დაღუპვასა და გარდაცვალებას შეეხება. ასევე გვაქვს მონაცემები შობადობისა და გარდაცვალების პროპორციების შესახებ. აფხაზეთში დაბრუნება მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც იქ მონად არ იგრძნობთ თავს. ყველა სხვა შემთხვევაში, დევნილების უდიდესი უმრავლესობა უარს განაცხადებს იქ დაბრუნებაზე. იმედი მრჩება, რომ ქართველები ღირსეულად დავბრუნდებით აფხაზეთში, აფხაზი და ქართველი ხალხის ძალისხმევით და სააშკარაოზე გამოვიყვანთ ამ მზაკვრული კონფლიქტის ავტორებსა და მის შემსრულებელ პროვოკატორებს. როდესაც სამივე მტრი - საქართველოს ე.წ. ცენტრალური ხელისუფლება, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება და სეპარატისტი აფხაზები მოცილდებიან ამ მოლაპარაკებათა პროცესს, როგორც ომის გამჩაღებლები და შემსრულებლები, ქართველი და აფხაზი ხალხი თვითონ მონახავს გზას შერიგებისა და ერთად ცხოვრებისაკენ.

***- ბატონო ელგუჯა, თქვენ აფხაზეთის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობით, დოცენტი კაცი პოლიტიკაშიც ხომ არ საქმიანობდით?***

- მე ვმუშაობდი აფხაზეთის უნივერსიტეტში. 1991-1992 წლების მოვლენების შემდეგ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და იქ არსებულ ატმოსფეროსთან შეუთავსებლობის გამო იძულებული გავხდი მიმეტოვებინა ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა. დღესაც ვუყურებ რა, უნივერსიტეტის ფილიალში არსებულ სიტუაციას, ვერ ვხედავ ჩემს ადგილს იმ აუდიტორიებში, სადაც კატეგორიულად აკრძალული აქვთ ყოველივე ქართულზე, პატრიოტულზე, სიმართლეზე საუბარი. დადგება დრო, სტუდენტთა იმ კონტინგენტს, რომელიც ამ რეჟიმის წასვლის შემდეგ მოვა აფხაზეთის უნივერსიტეტში, შესაძლებლობა მიეცემა მოუსმინონ იმ ადამიანებს, რომელთაც ამ ათი წლის განმავლობაში აკრძალული ჰქონდათ აუდიტორიებში სიმართლის შესახებ საუბარი.

***- აფხაზეთის ომის გაგრძელებას წინ უძღოდა თბილისსა და სამეგრელოში კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა. რა შეფასებას მისცემთ საერთოდ, 1991-1993 წლებში საქართველოში სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალებას?***

- ბევრჯერ მითქვამს და დღესაც ვიმეორებ: 1991-1993 წლების სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალება საქართველოს შემდგომი დაშლის, ქართული ეროვნული ცნობიერების მოსპობის და ქართველთა ურთიერთგადაკიდების მიზნით განახორციელა დასავლეთის და მოსკოვის სპეცსამსახურებმა. მათ ადგილი გაუთავისუფლეს უფუნქციოდ დარჩენილ შევარდნაძეს, რომლის უშუალო დაფინანსებითა და სამხედრო დახმარებით დამხობილ იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. შემდგომი მოვლენები - სამეგრელოს რამოდენიმეგზის აოხრება-ეგზეკუცია გამიზნული იყო ზვიადის მომხრეთა დევნის და იმავე დროს აფხაზეთში ომის პროვოცირებისათვის. ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთი იყო ერთადერთი კუთხე საქართველოში, სადაც შედარებით თავისუფლად შეგვეძლო გვეთქვა ის სიმართლე, რაც მოხდა საქართველოში. იმ წლებში ტარდებოდა მიტინგები, ეწვავდით შევარდნაძის სურათებს და ა.შ. გეგმის ის მზაკვრული ნაწილი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი უნდა დაკარგულიყო, განხორციელდა უფრო შემდგომ, უშუალოდ შევარდნაძის და მისი შემსრულებლების მიერ აფხაზეთში.

მე ვთვლი, რომ 1991-1993 წლების ტრაგედია საქართველოსათვის არის ყველა იმ ტრაგედიის დასაწყისი, რაც დღემდე დაუსრულებლად გრძელდება. უნდა მოვიდეს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ეყოფა გონიერება, თუნდაც მოკლე ხნით, მაგრამ მაინც აღადგინოს ის მემკვიდრეობითი ხაზი, რომელიც იწყება კანონიერად არჩეული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიასაგან.

***- 2001 წლის 9 აპრილს მრგვალი მაგიდის სპიკერმა, ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ გამოსცა მემორანდუმი. როგორ შეაფასებდით ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის პოლიტიკურ დატვირთვას?***

- ეს მემორანდუმი საქართველოს პოლიტიკური სპექტრისათვის უნდა ყოფილიყო სახელმძღვანელო პროგრამა, სადაც ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია მზადყოფნას გამოთქვამს ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, ვინც დაგმობს ხუნტის ქმედებებს, და უშუალოდ არ აუღია ხელში იარაღი კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, გზააბნეული პოლიტიკოსები გაბრუებულნი, უზურპირებულნი საინფორმაციო საშუალებისაგან, ვერ აცნობიერებენ, რომ მემკვიდრეობითი პრინციპის აღდგენის გარეშე საქართველოში საბოლოო თანხმობა და შერიგება არ მოხდება.

***- ბატონო ელგუჯა, დიდ მადლობას გიხდით საუბრისათვის და იმედს გამოვთქვამ, ღმერთის შეწევნითა და ქართველი ხალხის ძალისხმევით მალე ღირსეულად დაბრუნდებით ჩვენს წარმტაც აფხაზეთში ისე, როგორც ეკადრება ქართველ ხალხს.***

- ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრა დარეჯან მაისურაძე

## ჩვენი რწმენა

### წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვი

მშვენიერმა მნათობმა გაიარა გზა და ჩასასვლელად განემზადა. თითქოს ირწევა ზღვის თავზე, გამოსათხოვარ სხივებს ჰფენს დედამიწას. სენაკის სარკმლიდან გავყურებ ამ დიდებულ სანახაობას. ვხედავ ფინეთის სანაპიროს, დალასტულ ზღვას, თავზე ბრდღვიალა მზე რომ დადგომია და საცაა, შეეხება მის ზედაპირს. ჩამავალი მნათობი ადამიანს ნებას რთავს, მზერა გაუსწოროს.

რა შთაგონება ილვრება ჩემს გულში თვით ღმერთის – ბუნების მიერ დაწერილი ამ წმინდა წიგნის კითხვისას?

იგი გადაშლილია სახარების მოწაფეების და მიმდევრების წინაშე, ხოლო დახშულია ცოდვით დამძიმებული მკითხველისათვის. მათ ამაოდ ჰგონიათ, რომ მკითხველნი არიან, არადა მხოლოდ მკვდარი, ნივთიერი ასოს ამოცნობა ძალუძთ, მაგრამ ვერ ამოიკითხავენ ღმერთს.

ბუნების წიგნის შინაარსშია ღმერთი აღუწერავად აღწერილი, ხოტბაშესხმული სულის ხმამაღალი საგალობლებით, რომელნიც ვერ აღიქმება ხორციელი ყურით, ხოლო ფაქიზი, წმიდა და განმაცვიფრებელია სულის სმენისათვის.

არსებობს წიგნი უფრო მაღალი და ღვთაებრივი, ვიდრე ბუნების წიგნია, ესაა სახარება. მას ღმერთთან მიჰყავს მკითხველი, რომელიც კითხულობს ამ ცხოვრების წიგნს თვით ცხოვრებით. ბუნების წიგნი შერაცხავს თავის მკითხველს ანგელოზთა თანა და ქმნის მას ერთგულად ღვთის მაყურებლად და მქადაგებლად.

სახარება ჩვენ გვიხსნის ღმერთს, როგორც ერთიანს თავისი არსით, სამ ჰიპოსტასურს, გვიხსნის საწყისს – მამა ღმერთს, გვიხსნის მამისაგან შობილს, თანაარსს მამისა ძეს, გვიხსნის მამისაგან გამომავალს, მამისთანა და ძისთანა თაყვანისცემულს და დიდებულს სულიწმიდას, როგორც მათ ტოლსა და ერთარსს; მას ადამიანი არა მარტო მიჰყავს ღმერთის თაყვანისცემამდე, არამედ მასთან შეერთებამდე. ბუნების წიგნი იკითხება ხილული, დიადი მზით; სახარებაში და სახარებიდან აშუქებს სიმართლის მზე – ღმერთი, დამდაბლებული განკაცებამდე, ბაგამდე და ავაზაკთა ბუნაგამდე, დამნაშავის სიკვდილით დასჯამდე, მკვდრეთით აღმდგარი მომავალი სამყაროს მამა, მაცხოვარი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ბრმას არ შეუძლია გახდეს ბუნების სასწაულების მხილველი. ცოდვით დამძიმებულს, ამა ქვეყნის მონას არ ძალუძს შეიცნოს ქრისტე და მისი სახარება. მზის ჩასვენება ცოცხლად წარმოგვიდგენს ჩვენი დროის ქრისტიანობას. იგივე სიმართლის მზე – ქრისტე ანათებს, აფრქვევს იმავე სხივებს; მაგრამ ველარ აფრქვევენ იმ ნათელს, ვერც იმ სითბოს, როგორც ადრე, იმიტომ, რომ სხივები პირდაპირ ჩვენ კი არ გვეცემა, არამედ მოედინება ჩვენსკენ ირიბად და სხლეტით. სულიწმიდა პირველ ქრისტიანთა შორის ბევრს პოულობდა მისი დამკვიდრების ღირს ცოცხალ ჭურჭელს, სულიერ ტაძარს.

ერთგულ ქრისტიანში სულიწმიდა გადმოდიოდა, ქმნიდა მას ახალ ადამის მსგავსად და შეჰყავდა მის სულსა და ხორცში თავისი ღვთიური უხრწნელი სიწმინდე. სულიერი მამები აგრძელებდნენ ქრისტეს მოძღვრებას ძლიერი სიტყვის ძალით, რომელიც მკვიდრდებოდა სულიწმიდის წყალობით.

ახლა კი, როდესაც შემცირდა ჭეშმარიტებანი ძეთა

## ფიქრები მზის ჩასვლისას



კაცთაგან, სულიწმიდა ღირსეულ ჭურჭელს დაეძებს მათ შორის, მაგრამ ამაოდ – არავინ არის გულისხმისმყოფელი, ვერ უცვნიათ მშვიდობის გზა. არ ეშინიათ ღმრთისა. აი, მიზეზი, რის გამოც სულიწმიდა გვერიდება ჩვენ. სიმართლის მზის სხივები პირდაპირ არ ეცემა ადამიანს. იშვიათად, ძლიერ იშვიათად ჩნდება დედამიწაზე ცოცხალი ჭურჭელი სულიწმიდისა, რადგან გაძლიერდა ხორციელი ვნებები. ადამიანთა გულებს არ ძალუძთ თავიანთი უწმინდურებისა გამო, უშუალოდ აღიქვან დაატარონ მისი წერილი.

ძმანო! გავარჩიოთ დროის ნიშნები, როგორც გვიანდერძა მაცხოვარმა, რომელთა შეუცნობლობისა გამო ღმერთი ამხელს ფარისევლებს, მივაქციოთ სათანადო ყურადღება მაცხოვრის დარიგებას: ცოტა ხანს კიდევ იქნება ნათელი თქვენთან; იარეთ, სანამ გინათებთ, რათა არ მოგიცვათ ბნელმა; ვინაიდან ბნელში მოარულმა არ იცის, საით მიდის, სანამ გინათებთ, გწამდეთ ნათელი, რათა გახდეთ ძენი ნათლისანი (იოანე 12, 35-36).

მოდიან კაცობრიობის მოდგმის გამანადგურებელი, სამყაროს წარღვნის ტალღებზე საშინელი, სიცრუის და სიბნელის ტალღები, მოდიან განმზადებულნი – შთანთქან მთელი სამყარო, ანადგურებენ ქრისტეს რწმენას, ანგრევენ მის სამეფოს დედამიწაზე, თრგუნავენ მის მოძღვრებას, რყვნიან ზნეობას, სპობენ სინდისს და ამყარებენ ყოვლად ბოროტი მსოფლიოს მპყრობელის ბატონობას. ჩვენს გადასარჩენად გამოვიყენოთ საშუალება, რომელიც გვამცნო ღმერთმა.

სად არის ის ნეტარი კიდობანი, მართალ ნოეს კიდობნის მსგავსი, რომლის მეშვეობითაც შევძლებთ გავექცეთ ყოველი მხრიდან მოვარდნილ ტალღებს, სადაც შევძლებთ საიდუმლო ხსნა მოვიპოვოთ?

კიდობანი – წმიდა ეკლესიაა, რომელიც მიქრის ზნეობის წარღვნის ტალღების ზემოთ და ბნელ, ბობოქარ, მრისხანე ღამეში სათნოებით, სიმტკიცით, ზეციური მნათობებით – წმიდათა წერილებით საზრდოობს.

კიდობანი მიაღწევს ნეტარი მარადიულობის თავშესაფარს და მშვიდობიანად მიიყვანს ყველას, ვინც მას მიანდო გადარჩენა.

სანამ გინათებთ, გწამდეთ, ნათელი, რათა გახდეთ ძენი ნათლისანი. ამინ!

მინაწერი: ქართველი წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელი, მსგავსად სხვა სულიერ მამათა, კაცობრიობის გადარჩენას ქრისტეს ეკლესიასა და ყოვლადწმიდა დედოფალ ღვთისმშობელს მიანდობდა. ამიტომაც გაგვახსენა წმ. ეგნატეს ზემოთ მოყვანილმა ღვთივსულიერმა ფიქრებმა გრიგოლ ხანძთელის „ღვთისმშობლისადმი" საგალობელი:

„სოფლისა ზღვაჲ აღძრულ არს,
ღელვითა ცოდვისაჲთა, და
საშინლად დამთქამს მე,
აწ შენდა მოვილტვი ნავსაყუდელად,
და ესრედ გიღაღადებთ:
დანთქმისაგან მიხსენ ჩვენ,
მრავალმოწყალეო.
ქალწულო დედოფალო,
რომელმან გვიშევ სიტყუაჲ დაუსაბამოჲ ხორცით.
დააცხრე ღელვანი, გამძვინვებული
გულისსიტყვანი ჩვენი,
და მოეც სულთა ჩვენთა სიწმიდე საღმრთოჲ".

მასალა მოამზადა **ლუიზა ხაჭაპურიძემ**
მამა ლაზარეს (კანდელაკი) ლოცვა-კურთხევით

## ხსოვნა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა, საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ზურაბ გოგოხიას ძმის,

**შაქრო ილარიონის ძე შელიას**

გარდაცვალების გამო.

### ვენერა ქომეთიანის გახსენება

შენი წასვლის შემდეგ კიდევ უფრო მოახლოვდა იმიერ ქვეყანა ჩვენთვის; ჩვენ გზის მოპირდაპირე მხარეებზე ვდგავართ. ჩვენთვის თქვენ (გარდაცვლილები) არ შეცვლილხართ, ოღონდ უფრო ტკივილიან-სიყვარულიანი, ცრემლებამდე სანატრელნი გახდით.

გზას გაგინათებს შენი დაულეველი სიკეთე, მშიერისათვის მიტანილი პური, ავადმყოფთა დაუღალავი მოვლა-პატრონობა, სტუმრისათვის გაწეული გულუხვობა და ბოლომდე სიხარულით დახარჯვა, მიცვალებულთა პატივისცემა... გვახსოვს, როგორ უკეთებდი საკურთხს და სულს უხსენებდი უპატრონო მიცვალებულებს. იმერეთიდან 1944 წელს აყრილები მესხეთში ჩაგასახლეს, ვის სად მოუწია ბინამ, ზოგ თქვენთაგანს ყოფილ სასაფლაოზეც, გვეუბნებოდი: „მეხსიერებიდან არ ამომდის, წლების მერე ნასაფლარზე მოსული ქალების ტირილის ხმა: „ჯემალა, ჭოვ, სად წევხარ?" ვალდებულს ხდიდი შენს თავს, მათთვის, როგორც ქართველი მიცვალებულებისათვის, შენდობა შეგეთვალა.

შენი დამსახურებაა ზეციურ სხივებად რომ ჩაეწნა ჩვენს სულში: ზარზმა, ჭულევი, ოქროსციხე, ზანავის ციხე, ვარძია, საფარა, შოშხოთის ბაზილიკა (ხან სომხური, ხანაც ქართული კარი რომ ჰკიდია)... გაზაფხულზე ყაყაჩოებით მოქარგული ვაიოს და უიოს ველები, ჩვენი უმშვენიერესი ტყეები უამრავი სამკურნალო წყლებით...

გვახსოვს, ჩვენს ბავშვობაში როგორ ეფერებოდი ზარზმის ფრესკების ჭრილობებს. როგორ ლოცულობდი კანკელს შერჩენილი ხატების წინაშე. არც ის დაგვვიწყებია, როგორ ცდილობდი, ვაიკაცებს არ გაეზიდათ ჭულევის წმიდა გიორგის ჩამონგრეული კედლების ქვები.

ერთ საღამოს ადიგენის ბუნების სილამაზემ ჩვენი საყვარელი ლექსი გაგვახსენა და ხმამაღლა წავიკითხეთ, არ დაგვავიწყდება შენი სევდიან-მადლიანი ცრემლები ამ სტრიქონების ავტორს რომ ეკუთვნოდა:

„გადაიშლება ჩვენს წინაშე ტურფა მთა-ველი,
ბებერი კოშკის ნანგრევები, ზვარი, ბაღები;
დღეს მობიბინე და ძველად კი სისხლით ნაღები,
გლეხის მარჯვენა მადლიანი, ნიადაგ ილვწის,
რომ არასოდეს დავივიწყოთ სურნელი მიწის".

წელს პირველად შევხვდით მესხეთს უშენოდ. 14 ოქტომბერს 40 დღე შესრულდება შენი სულეთში გადასვლიდან. ფეხაკრებით წახვედით: შენ, ეკა დეიდა, ავთო ბიძია, ბაბილო ბებია და ჩვენი მთაკაცი შოთა კირთაძე...

ავადმყოფობით დაღლილმა გვთხოვე: როცა გარდავიცვლები, გაფიცებთ, მიგალობეთო „ბოქშებო"... პირობა შეგისრულეთ, გაგატანეთ შენი საყვარელი „ღირს არსიც"...

გასაოცარია, და შენი სიკვდილით კიდევ ერთხელ ახლებურად დავინახეთ ადიგენი... ხონიდან ჩასახლებულების იმერულ-მეგრულ-მესხური კილო, ადრე არც გაგვკვირვებია, მაგრამ როცა შენი დების გულტკივილიან ტირილში სვანური ზარის კვნესა გავიგონეთ, გავოგნდით. საუკუნეების წინ წამოსული წინაპრიდან, გვეგონა, მხოლოდ გვარი თუ შემოგრჩათ-მეთქი, რადგან თქვენ არანაირი კავშირი აღარ გქონდათ იქაურობასთან; მაგრამ მაშინ სისხლი ტიროდა, ალბათ, შენი დის საშა ქომეთიანის ბაგეებიდან: „ვოი და ვოი და ნანა, ვო"... იმ დღეს სავალალო და დამაფიქრებელიც იყო... წესის ასაგებად მოსულ მამა ტიმოთეს ქადაგება, ზოგჯერ ნაგვალავზე მოყრილ მარცვალს ჰგავდა და გვტკიოდა ქრისტეს გაფანტული ცხვრები, ჩვენი სისხლი და ხორცი...

შენ ახლა ყველაფერს ხედავ და იცი, შევედრე აქ მყოფნი უფალს, შევედრე ჩვენი საბრალო მამული... დალოცე შენი ლამაზი ოჯახი – ერთგული მეუღლე, რძალი და შვილი, ასე რომ ზრუნავდნენ შენთვის, შენი უკანასკნელი სიხარული და მარადი სიყვარული პატარა შვილი, ალექსანდრე.

ზარზმის ღვთისმშობელი და ჭულევის წმიდა გიორგი შეეწიოს შენს სულს იესო ქრისტეს წინაშე და დაგიმკვიდროს სასუფეველი... „მართალთა თანა განუსვენე მაცხოვარ, სულსა მხევლისა შენისა ვენერასი"...

ლუიზა, ია, ლელა ხაჭაპურიძეები

## კადრები ჩვენი უახლესი წარსულიდან

# ორი დღე ტყვეობაში

იმ დილით თავი მტკიოდა, წამლისათვის გავედი ქალაქში. მობრუნებულს პირველი საშუალო სკოლის წინ მეგობარი შემომხვდა ბ.ჯ. (მუსიკოსი). რამოდენიმე წუთის შემდეგ ერთმანეთში საუბრისას ჩვენს უკან გაჩერდა უნომრო შინდისფერი „ვაზ-2101" მარკის ავტომანქანა. ჩამოვიდნენ ორნი, ხელკავი გამოგვდეს და მანქანაში ჩაგვსვეს. წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, აზრი არ ჰქონდა. მე მათ ვკითხე, ვინ იყვნენ და საით მივდიოდით, რაზეც მიპასუხეს, რომ 15 წუთში ყველაფერი გაირკვეოდა. საუბარზე ეტყობოდათ, აღმოსავლეთ საქართველოდან იყვნენ. მიგვიყვანეს ტაბიძის ქუჩაზე უშიშროების შენობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობა დინამოს სტადიონზე (ტაბიძეზე) მაქვს გატარებული, არ ვიცოდი, მის მეორე მხარეს თუ ასეთი ჯურღმულები არსებობდა.



მთელი დღის განმავლობაში ვკითხულობდი დაკავების მიზეზს და გათავისუფლებას ვითხოვდი. პასუხი – ზვიადისტობა (საშიში ხალხი ხართ). ფიზიკურ შეურაცხყოფას, საბედნიეროდ, ადგილი არ ჰქონია. იყო ფსიქოლოგიური ზეწოლები: ახირებულად მესაუბრებოდნენ, დამცინოდნენ – პატრონი არ გყავს, ვერ ხედავ, რომ გატყუებთ გამსახურდია?

ღამის ორი საათი იქნებოდა, საიდანღაც შემთხვევით გამოჩნდა ჩემი მეგობრის ნაცნობი უშიშროების თანამშრომელი, რომლის დახმარებითაც გაგვათავისუფლეს. მშიერ-მწყურვალი შუა ღამეს მივედი სახლში (5 კმ. ფეხით ვიარე). ის ღამე თეთრად გავათენე.

მეორე დილით იმავე ადგილას დამაკავეს (იგივე ხალხმა). ვხედავ, რომ ჩემზე დევნა-შევიწროება მიდის, წინააღმდეგობას ვუწევ, მაგრამ მანქანაში ძალით მტენიან. ავტომანქანა მიემართება წყალტუბოს მიმართულებით. ათასი აზრი მიტრიალებს თავში – ალბათ, ახლა გააჩერებენ მანქანას, რომელიმე ჩიხში გადამისვრიან და ტყვიასაც მომაყოლებენ. ერთ-ერთი ჩემს თვალწინ ატრიალებს რევოლვერს და ძველბიჭური კილოთი მეუბნება: მალე აგიგებთ წესს. მძღოლმა თავისთვის ჩაილაპარაკა – ისე რას ვუშვრებით ქართველები ერთმანეთს?! ამაზეც მადლობა-მეთქი – გულში ვთქვი – მაგრამ მე რას გიშვრებით თქვე დალოცვილებო, მე რას გიკეთებთ ცუდს, ეს თქვენ დამიჭირეთ – გავიფიქრე, მაგრამ არაფერი მითქვამს.

ქუთაისიდან ორი კილომეტრის მოშორებით გზიდან მარჯვნივ გადაუხვიეს, იქ სადაც საავარაკო მიწებია გაცემული. ჩაის ბუჩქებსა და ევკალიპტის ხეებს შორის გააჩერეს. ჩამომაგდეს მანქანიდან და თვითონაც ჩამოცვივდნენ. წრე შემომარტყეს, დაიწყეს ახირება და აბუჩად აგდება. მამკობდნენ ნაირ-ნაირი გინებით, მითხრეს, არ იყვირო – ეშინოდათ, იქ ყოფნის შესახებ არავის გაეგო. ეტყობოდათ, ნარკოტიკის ქვეშ იყვნენ. „კაროჩე რას პროვოკატორობ – მეუბნება ერთ-ერთი, რაღაც გაზეთებს ავრცელებ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს – გაზეთის სათაური, დასახელებაც კი არ იციან. შეიძლება შიშის გრძნობა მართლაც მქონდეს, მაგრამ იმ მომენტში ყოველგვარი შიშის გრძნობა დავკარგე, საოცარი ძალა შემოვიდა ჩემში. ვხვდებოდი, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება ამ ღვთივკურთხეულ მიწაზე სიკვდილია, როცა სიცოცხლის უფლებას გართმევენ. მეუბნებოდნენ, რას იცავ, რა დაგრჩენია, რას ელი ამათგან. ჩემი პასუხი – მე არ ვიცავ ზვიად გამსახურდიას (მას ჩემი დაცვა არ სჭირდება), მე ვიცავ მოპოვებულ გამარჯვებას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და დასაბამი მისცა ჭეშმარიტი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას. სად არის ჩემი ხმა, რომელიც მე მივეცი კანონიერ ხელისუფლებას? შეაგინე გამსახურდიას და გაგიშვებთ – მეუბნებოდნენ ისინი. ერთ-ერთი გაავებული მეცა და გამეტებულად ჩამარტყა ზურგში ავტომატის კონდახი. ჩავქოლოთ, ამის... ხმა არ ამომიღია, თუმცა ძლიერმა ტკივილმა დამიარა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ისინი რაღაც ზეძალამ შეაჩერა და მითხრეს – წადი, თავისუფალი ხარო. ეს რომ გავიგონე, ყურებს არ დავუჯერე. მივდიოდი ნელი ნაბიჯით და ყოველ წამს ზურგიდან რაღაც ხიფათს ველოდი.

მას შემდეგ რვა წელმა განვლო და მრავლად ვარ მომსწრე ამგვარი მხეცობისა (ა/წ 26 მაისიც კმარა). როგორც წინა ღამით, არც იმ ღამეს მომიხუჭავს თვალი. ცხოვრებაში მძიმე წუთები ბევრი მქონია, როცა ძალიან მიჭირს, ბატონი ზვიადის „საქართველოს სულიერ მისიას" და ფსალმუნებს ვკითხულობ. მაშინ მარტო ვიყავი საკუთარ თავთან. მემატებოდა საფიქრალი და ვგრძნობდი, თითქოს რაღაც გაუსაძლისი პერიოდი უნდა დაწყებულიყო ჩემს ცხოვრებაში, ჯერ არარსებული, არნახული, ჯერ განუცდელი.

კობა ცერცვაძე

## პოეზია

### მახტანგ ახობაძე



ღრო

მე ყოველ დილით ვხვდები განთიადს
და ოკეანიდან ვიცვარავ სხეულს,
რაც კი შევძელი, რაც გამაჩნია
სულ ყველაფერი დროს მიაქვს წყეულს.
დროვ კეთილი ხარ? ვერ ვიტყვი, ვერა,
მაშ, გათენება რად მიყვარს დილის?
მაგრამ ვიცი და ნამდვილად მჯერა,
მუდამ სრულდება შენი ნადილი.
გონების ხედვით მე მინდა მეტი.

ნამიც და იგი წარსულს წარდება,
ვიცი, ჩემს წარსულს დაუსვამ წერტილს,
ჩემი სიცოცხლე შემოგაკვდება.
მე ყოველ დილას ჩემად ვიგულებ
და ყოველ დილით, ვიცი, ვწერდები,
ვიცი, წარსულსაც ვერ დამიბრუნებ,
მაინც რატომღაც მეიმედები.

ტბიმბმ ბაღაილო

შემოიკვეც ღრუბლებმა ფრთები,
დანუნარდა კიდეც ირგვლივ ბუნება,
ვარ ფეხშიშველი, თანდათან ვთბები
და მიხარია მზის დაბრუნება.
ფოთოლზე წვეთში ზღვა მოჩანს ლურჯი,
იქ ცისარტყელამ გადაჯრა კიდე
და დახატული ბუნების ფუნჯით
შენ არ ნაშალო, ღრუბელო, კიდევ.
მზე კი არ მაცლის და ამდის ოოთქლი,
ფეხზე წაღსახი მელამუნება,
ოჰ, ღვინო მომცა მე ერთი ბოთლი,
ვადღეგრძელებდი მზის მობრუნებას.

* * *

გასკდა ნამი...
გასკდა გული...
სულში დაჭრის ქარიშხალი,
გასკდა მინა დანახული,
ამერია საფიქრალი.
ველარ ვარკვევ ირგვლივ
ვერრას,
გაყინული წევს სინუნარე,
ცვინმა ფიქრი შეაჩერა,
გრძნობებს ფიქრი მივაყარე.
გონს სიკვდე შემოაკვდა,
თვალებშიაც გვიდგას ბინდი,
სულს სინედლე შემოაკლდა,
ამიტომაც ვერ დავღვინდით.
რად დადიხარ, ძმაო, ნილბით.
ძმების სისხლი რატომ შესვი?
საქართველო არად გილირს,
როცა ერის მსახურის ესვრი.
სიმართლისთვის მიპყრობს განცდა,
როცა მესვრის მე თვისტომი.
მინა გასკდა, გული გასკდა.

### გურამ სულაშა

სირტხვილი

სალოთის ძილში ჩაძირულა ერი ქართველი,
ოცნებით სუნთქავს მხოლოდ მათი გულისძგერანი,
ცაძარში ლოცვით აუნთია წმინდა სანთელი
და მიუნდვია უფლისათვის ქვეყნის შველანი.
ღირსებაყრილს დაუდია ურცხვად დარ-ხმალი
და საამაყო წინაპართა ცხოვრობს სახელით;
დაურილი ხიხმის მაგონდება ჩირგვში დარიხალი,
ღმერთო მიშველე, რომ არ ვიყო ამის მნახველი.
რაც წინაპრებმა მხრებით ზიდა ზეიდისწერანი,
ხმლების კისკისით დაგვიწერა წმინდა მოთალი;
თურმე ცრუელად დახარჯულა სისხლის მელანი;
დაემატროვანა დღეს ყველაფერს მძორის ყორანი.
სირცხვილით ინვის წინაპართა ძვლები საფლავში,
ამღერებულა გლოვის ზარით მთები სვანეთის,
კახეთის ზვრების ცრემლი ყონავს გლეხკაცის თვალში,
წყვდიადს მიუვავს ეს ნალეკნი და სამღერეთი.
და მაინც მიყვარს საქართველოს ლალი ბუნება,
ისე საშვენკი და მაღალი, როგორც მთვარის;
დღეს კი რა ხდება? კანონების ნამოქმედარით
საქართველოში საქართველო მომნაცვრდება.
მაღიროსე, ღმერთო, ქართველები ამხედრებულნი
და თავისუფალ რაინდების თვალთა ჩქერანი.
სამშობლოს დაცვის წმინდა გრძნობით გულანთებულნი
ვით გაფრენილი ცაცხს მერანი!

## მხატვრობა

# მხატვრის თანამგზავრი ტანჯვაა

ერთი წუთით დავივიწყოთ ყოველდღიური ყოფის სულისგამაწვრილებელი, გამომფიტველი, დამაოსებელი სურათები და განვეწყოთ მშვენიერების საუფლოში სამოგზაუროდ. მე-13 სართულზე „არწივის ბუდეში" (ასე უწოდებს თავის ბინას დიდი მხატვარი რუსუდან ტოზაშვილი) თქვენ მიუახლებით საოცარ სამყაროს, რომელიც მონატრებულად გაგყვებათ თან და ვინ იცის, რამდენჯერ შეგახსენებთ თავს, რადგან ყოველთვის როდი გაგანებივრებთ ცხოვრება, კვლავ მიწვდეთ იმ სამყაროს სიდიადესა და სიბრძნეს, საოცარ ფერთა იდუმალებას.

რუსუდან ტოზაშვილი - გულღია, ალალი მასპინძელი, უბრალო თუში ქალი, რომლის სულში იმოდენა საოცრება დავანებულა, რომ ბედნიერად გრძნობს თავს მხატვრის სახელოსნოში, მისეულ სამყაროში მოკრძალებით მიახლებული სტუმარი.



მისი გაცნობის პატივი წილად მხვდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 62 წლისადმი მიძღვნილ სხდომაზე. ამ დღეს საქართველოს რესპუბლიკაში ჭეშმარიტი მამულიშვილნი საერთო-სახალხო რეფერენდუმის 10 წლისთავს აღნიშნავდნენ. გვერდიგვერდ მოვხვდით. ერთმანეთს გავესაუბრეთ და მეორე დღეს - 1 აპრილს მისი გულუხვი მასპინძლობის, გამაოგნებელი ფანტაზიისა და დიდებულ ფერთა „ტყვეობაში" აღმოვჩნდი. თუშური სიმღერებისა და კლასიკური მუსიკის ფონზე ვსაუბრობდით, თავი ზღაპრულ სამყაროში მეგონა...

ფიროსმანს თავისი სტილი აქვს, ქალბატონ რუსუდანს სულ სხვა ხედვა და აბსოლუტური თვითმყოფადობა და მაინც თვითნასწავლი მხატვრების ფერწერულ სამყაროში გაკრთება ისეთი რამ, რაც უნებურად მათი ერთმანეთთან შედარების სურვილს მოულოდნელად აღძრავს. „დრეზდენის გალერეაში იგი ვან გოგზე დიდ შემოქმედად მიიჩნიეს. მის ტალანტს ვაჟას და ფიროსმანის ნიჭს უტოლებენ" (ლია ბაიდოშვილი, „სარკე", 2000, №49).

რუსუდან ტოზაშვილის მხატვრული და პოეტური გენი ღირსეული წინაპრისაგან მოდის - თუშების ყველაზე საამაყო და სათაყვანებელი გმირის ზეზვა გაფრინდაულის ლალი და ალალი სულიდან.

გაფრინდაული სიმბოლოა თავისუფლების, ქართველი კაცის ღირსების შესანარჩუნებლად უკანდაუხევლობისა:

„ენამც გახმება მთქმელისა, ზეზვაი
აღარ არისო,
ხიკვდილს არ წამოუწევა ქაჯანგიანი ხარიო,
არ დაიჯეროთ, თუშებო! კიდეც
მოგივათ ჩქარიო,
ტანჯობით გადმოყრილები
გაფრინდაული ვარიო!"

დღესაც მღერიან თუში მოლექსენი.

შინაგანი თავისუფლება და რწმენა ერის ჭეშმარიტი თავისუფლების აუცილებლობისა საამაყო წინაპრის საამაყო შთამომავლის ქალბატონ რუსუდანის შემეცნებაში დავანებულა.

მხატვრის სახელოსნოში მოგაჯადოებთ ახალგაზრდა ქალი ბატკანთან ერთად. პირქუში თუშები, რომელთაც თვალებში ნაღველი ჩადგომიათ (სრულიად ორიგინალური ბროწეულების ფონზე). თვალს ვერ მოწყვეტთ მხატვრის ავტოპორტრეტებს. ერთი მათგანი ყაყაჩოების ფონზეა შესრულებული, მხატვარს თეთრი თმები საოცარ ნათელს ანიჭებს. იქვეა გიტარა - სიმბოლო სულის იდუმალების გახსნისა. მეორე ავტოპორტრეტი ბროწეულების ფონზეა. ბევრი უფიქრია რუსუდან ტოზაშვილს მარტოსულ მხატვარ ფიროსმანზე და აჰა, მისი „ჩემი ფიროსმანიც" (ფიროსმანის პოეტური სამყარო). შეუდარებელია ჯანსულ კახიძისა და ჰამლეტ გონაშვილის პორტრეტები და სხვა მრავალ მოღვაწეთა სურათები, მაგრამ რუსუდან ტოზაშვილის დიდი ხელოვნება, მისი თვითმყოფადობა ყველაზე მეტად მაინც ნახატების სერიაში „გველისმჭამელის" სიუჟეტზე შექმნილ 13 ფერწერულ ტილოზე საცნაურდება.

ოცი წელი უფიქრია მხატვარს ვაჟას თემაზე. მის „გველისმჭამელსა" თუ „ალუდა ქეთელაურზე", ვაჟას მოთხრობებსა თუ ლექსებზე და ამის შემდეგ გაუბედავს ქალბატონ რუსუდანს ბუმბერაზი პოეტის, ჭეშმარიტი მთის შვილის შემოქმედების მხატვრული სალებავებით ტილოზე გადატანა.

განუმეორებელია ფერწერული ტილოები: „გველისმჭამელი", „ალუდა ქეთელაური", „გოგოთური"... აქვეა ვაჟას პორტრეტი, გულქანის სურათი, კაკუს პორტრეტი, „მე და ვაჟა" (სულის შეხვედრა) და სხვ.



მოიხიბლებით თუშურ და კახურ თემებზე შექმნილი ქალბატონ რუსუდანის სურათებით, მისი ორიგინალური ხედვით, საოცარი ნაზი ცისფერი, რუხი, ლეგა ფერებით. მის შემოქმედებაში აირეკლება თუში ქალების მიერ ნაქსოვი ფარდაგების, ხურჯინების, ხალიჩების, წინდების საოცარი ფერების ხიბლი - მზებუდობის მადლით გასხივოსნებული. ყურს სწვდება თითქოს წარმართობისდროინდელი ლოცვა: „მზეო, მზის მყოლო ანგელოზო, დაგელოცა სავალი და სადგომიო".

ქალბატონი რუსუდანი მრავალი ლექსის ავტორიცაა. იგი კარგი მთქართულე და მოფიქრალია. თავის დღიურებში საოცარი აზრები ჩაუწერია (მისი ჩანაწერები ცალკე საუბრის თემაა). შეიძლება, ზოგიერთ მკითხველს უცნაურად მოეჩვენოს ქალბატონ რუსუდანის ამგვარი აზრი: „სიცოცხლე ზღვაა უკიდეგანო, მკაცრი, ცივი ყინულივით, იშვიათად თბილი. წამებაა დაბადებიდან სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე. დედამიწა - უაზრო სიცოცხლე. აზრიანი სიცოცხლე არ არსებობს, უაზროა თვით სიკვდილიც". ამგვარი სტრიქონების ავტორის სულში დიდი ფილოსოფიური განსჯაა. სულ ერთია, დავეთანხმებით თუ არა მას, ის მაინც უნდა ვიგრძნოთ, თუ რაგვარი იმდეგაცრუებანი აოგნებდნენ...

განა მხატვარმა არ იცის, რომ მისი სიცოცხლე აზრიანია და ძალიან მნიშვნელოვანი? ოდესმე იგი დიდი წინაპარი გახდება მომავალი ქართველი ჭეშმარიტი მამულიშვილებისათვის, საამაყო იქნება უფრო მეტად, ვიდრე დღეს, შეცნობილი და დაფასებული - გაცილებით მაღალი მასშტაბით, მაგრამ ეს იქნება მერე, რადგან ადამიანებმა არ ვიცით თანამედროვეთა სწორი შეფასება და სიცოცხლეში მიზღვა იმისი, რისი ღირსიცაა.

ფიროსმანივით მარტოსული მხატვარი ზამთრის ცივ დღეებში, თითქოს ფრთამოტეხილი ჩიტიაო, ზის თავის „არწივის ბუდეში" და წერს ნაღვლიან ლექსებს:

„დგას თბილისის ირგვლივ
დათოვლილი მთები,
შიში სიბერისავ,
რად არაფერს მეტყვი?
თბილისელი თუში,
გაყინული სახლი,
შორს ქუჩაში მდგარი
მათხოვარის ლანდი.
ლალისყურო, შორს ხარ,
ძლიერ მენატრები,
ეჰ, ბალღობავ, ჩემო,
რადამ მელანდები.
ფანჯრის იქით თეთრი
თოვლიანი მთები,
თუშის ქალის დარდი:
დამტვრეული ფრთები".

ალბათ, ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნების დამფასებელი იოცნებებს კვლავ მიეახლოს რუსუდან ტოზაშვილის ფერთა სამყაროს, რათა ჩაწვდეს უშორეულეს და უახლოეს ფიქრებისა და ფერების ნაზავს.

ზოია ტუღუში
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

## „ქუჯის" ფოსტა

### ნუთუ კიდევ ილებთ ხმას?

დღევანდელმა სიბეჩავემ და განუკითხაობამ წითელ კომუნისტებსაც ამოაღებინა ხმა, ჩვენ გადავარჩინეთ საქართველოსო და, მათი მხარდამჭერის შემთხვევაში, ათასგვარი დაპირებით გვავსებენ. მაინც, რა სუსტი მეხსიერება ჰქონიათ, რა ხვირიც ვნახეთ მათგან, ასე ერთბაშად როგორ დაავიწყდათ?! შევახსენებ მხოლოდ ერთს, ჩემი ოჯახის მაგალითს.

ჩემი ოჯახი ეროვნული ორიენტაციისა იყო და ასეთი დარჩა ბოლომდე. ბაბუას, კერძო სტამბა (ცნობილი „ხელაძის სტამბა") ჰქონდა, რომელიც კომუნისტების „გამეფებისთანავე" ჩამოართვეს. მამას, მუსანიშნავ ეკონომისტს, სამსახურს არ აძლევდნენ, კომუნისტები არ გიყვარსო. არ ჰქონდა „წითელი მანდატი" და ასეთების ბედი ხომ არავის აინტერესებდა. ჩვენი ბინა ყელში ეჩხირებოდათ და ჯერ ძალით შემოგვისახლეს უცხო პიროვნება, მერე კი საერთოდ დაგვიპირეს სახლის წართმევა.

გადავწყვიტე სიძველისაგან დარღვეულს პირას მისული სახლის შეკეთება, მაგრამ აქაც წინ გადაულახავი ბარიერი აღიმართა. მაინც ვინ იყო ეს ხალხი? დავასახელებ რამდენიმე მათგანს:

ა. გრძელიძე იმ დროს ლენინის რაიონის არქიტექტორად მუშაობდა. მან ჩემს განცხადებას ზედაც არ დახედა. ტექნიკუროდან თვითნებურად გამოიტანეს სახლის გეგმა, თავისი სურვილისამებრ შეასწორეს და „წითელ ზონაში" მოგვაქციეს. მოითხოვდნენ წარმედგინა საბუთები, თუ რის საფუძველზე ვაპირებდი მშენებლობას, არადა არავითარ მშენებლობას ადგილი არ ჰქონია. ვცდილობდი სახლი შემეკეთებინა, რომ ჭერი არ ჩამომქცეოდა. ამასვე მოითხოვდა თ. ლორთქიფანიძე, ლენინის რაიონის აღმასკომის აღმასრულებელი, ასევე არქიტექტორი რ. ხაჭაპურიძე, რომელმაც ჩემს მიერ წარსადგენ საბუთთა ნუსხა კიდევ უფრო „გაამდიდრა". მათი საქციელით გაოგნებულმა განცხადება შევიტანე „ქუთაისის" რედაქციაში, ვითხოვდი გამოეყოთ კომისია, დაედასტურებინათ სახლის სიძველე, მაგრამ უშედეგოდ. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, აქაც თ. ლორთქიფანიძის ხელი ერია. ყველაფერ ამას შვიდი წელი დასჭირდა და თავად წარმოიდგინეთ ჩემი ტანჯვა და ნერვების წყვეტა. ყველაფერი კი იმით დაგვირგვინდა, რომ გაზეთში წავიკითხე, უმწიკვლო საქმიანობისათვის თ. ლორთქიფანიძე ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიესო.

საბედნიეროდ, ეს ყოველივე წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ბევრმა ყოფილმა ფუნქციონერმა ხომ ტყავი გამოიცვალა და ახალ ამპლუაში მოგვევლინა. მათი ნამოქმედარი სახეზეა - დღევანდელი საქართველო, დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყანა, საზღვარგარეთ გასული მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილი, მიზერული პენსიები და ხელფასები.

ასეა, ჩვენო ვაიკომუნისტებო, რაც უნდა იძახოთ ჩვენ გადავარჩინეთ საქართველოსო, არავინ დაგიჯერებთ. თქვენ მუდამ რუსეთის მორჩილი, და მისი ნების შემსრულებელი იყავით. ახლა თვალი რუსოფილ იგორ გიორგაძისაკენ გიჭირავთ, მაგრამ იგი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისთვის არ გამოდგება. ჩვენ ვიდით მხოლოდ ჭეშმარიტი ქართველის, დიდი მამულიშვილის, ზვიად გამსახურდიას გზით. აქვე მინდა მოვიყვანო რუსი წმინდანის სერაფიმ საროველის სიტყვები: „მრავალი ერი აღიხოცება პირისაგან მიწისა, მაგრამ ივერია, ვითარცა ღვთისმშობლის წილხვდომილი, მუდამ იარსებებს". მჯერა ამ სიტყვებისა, ჩვენი ქვეყნის გაბრწყინებისა.

თამარ ხელაძე

# კარიკატურისტის კომენტარები



გ. მალაზონია: „ვაი მას, ვისაც შევარდნაძე გაუღიმებს და უი იმას, ვაისაც გაუცინებს!"
„ახალი ვერსია", №11.

მ. სააკაშვილი: „ის (შევარდნაძე) შეიცვლება უარესობისკენ და მხარს დაუჭერს ღიად, ბოლომდე კლანებს, რომლებსაც ქვეყანა მიჰყავთ ჩიხისაკენ."
„ახალი ვერსია", №11.



# რეტრო ანუ ისმინეთ!

გელა ჯიდაური

(დასაწყისი წინა ნომერში)

ვაი სირცხვილო! სადამდე მიხვედით, წარმომადგენლები მიუგზავნეთ უამრავი საწუხარითა და მოსაგვარებელით გადაღლილ პრეზიდენტს; მოუცლელმა და შეჭირვებულმა გამონახა დრო და ყურადღებით მოუსმინა თქვენს დესპანებს. ჩვენ კი ტელეეკრანებზე ვუყურებდით და ვუსმენდით პრეზიდენტის კაბინეტში განვითარებულ „მოვლენებს", სირცხვილით ვიწვოდით მათი უსუსურობის მოწმენი და შედეგიც სამარცხვინო გახლდათ - „რაინდებმა" შერცხვენილებმა დატოვეს იქაურობა. ალბათ, ეს ყველაფერი ჭკუის სასწავლებელი უნდა გამხდარიყო თქვენთვის, გონზე უნდა მოსულიყავით, მაგრამ, ისევ მამამთავრებმა იძალეს და შხამის მორიგი ულუფა შეგასვეს, ხელი გიბიძგეს და თქვენც უკვე ვრცელ დარბაზში შეკრებილებმა, პრეზიდენტთან დაპირისპირება მოისურვეთ და გაიმართა ის შეხვედრაც. ჩვენ ისევ ტელევიზიით ვადევნებდით თვალყურს და... კიდევ უფრო მეტად გავწბილდით. ვერაფრით წარმოვიდგენდით, თუ ასე უტიფრად, ცინიკურად, აგდებულად, უპასუხისმგებლოდ მოიქცეოდით, ყოველგვარი წესისა და ეტიკეტის დარღვევით გამოიაშკარავებდით თავს პრეზიდენტის, მთავრობის წევრების, ერის წინაშე. ეს იყო სამარცხვინო, შემაძრწუნებელი თავყრილობა, უხამსი მეტყველების, უხეში სიტყვა-პასუხისა და უმსგავსი ქცევის ამაზრზენი დემონსტრირება. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ „გამარჯვებულებად", პრეზიდენტის „გამშავებლებად" მიგაჩნდათ თავი. მწარედ კი მოტყუვდით. თქვენცა და თქვენმა წამქეზებლებმაც პირწავთლად წააგეთ, სავალალო და მწარე მარცხი იწვნიეთ, თავადვე დაამტკიცეთ გზააბნეულები და შეცდენილები რომ ხართ, რომ ამით მოსკოვში მოკალათებული ავისმთქმელი „თანამემამულის" თავკაცობით დარაზმული მტერი და მოშურნე გაახარეთ, თქვენი ხელით გასაკეთებელი გაუგონარი ავკაცობისა და ბოროტების, დანაშაულისა და სისხლისღვრის მოწყობის ახალი სურვილები აღუძარით. ეს უდიდესი ტრაგედიაა.

ვაი სირცხვილო! ჩვენს თავს აღარ ჭრივით, ოღონდაც უცხოელებს არ ენახეთ, იმათ არ შეეტყოთ თქვენი უგუნურება. ქართული ინტელიგენციის ერთ ჯგუფთან შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა გულნატკენმა გვაუწყა თქვენი საპროტესტო აქციის შემსწრე გაკვირვებული იტალიელი სტუმრების შესახებ. აღშფოთებულებს ვერაფრით დაუოკებიათ უსაზღვრო გულისწყრომა და დაუფარავად უთქვამთ, რომ მათ ქვეყანაში მსგავსის ჩადენის შემთხვევაში, ყველას საპატიმროში უკრავდნენ თავს. თქვენი აზრით, რა უნდა ეპასუხა ჰუმანისტ პრეზიდენტს? ის, რომ მის გადადგომას მოითხოვთ, დიქტატორსა და ფაშისტს უწოდებთ?..



ვაი სირცხვილო! რას მოვესწარით, ქართველ სტუდენტთა მცირე ნაწილი ერის ინტერესების, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოთხოვნებით გამოდის. ხალხსა და მამულს განდგომილია, ძველი დროების მობრუნების მოსურვილეთა ყალბი დაპირებებით გზააბნეულებს იმდენად დაგბინდვიათ გონება, კრემლის ინტერესების დამცველ-გამტარებელი და საქართველოსათვის მზის ჩრდილოეთიდან ამონათების მოსურნე პიროვნების ნებას დაჰყოლიხართ, მისი მზაკვრული ჩანაფიქრების გაცხადება მოგისურვებიათ. მაგრამ, ხმამაღლა გვინდა გითხრათ, რომ ეს აღარასოდეს მოხდება, კომუნისტთაგან შექმნილი ჯოჯოხეთი საქართველოდან მათ ამძირკვას გაჰყვა თან. დამპყრობლისაგან გამოჭედილ უმძიმეს უღელს აღარასოდეს დაიდგამს ქართველი ხალხი. საქართველოში ვეღარასოდეს იბოგინებს შევარდნაძის, მგელაძის, იოსელიანის, კიტოვანის, სიგუასნაირი მოღალატეები, მათი მიმდევარნი. ისინი ქართველთა მწარე მოგონებად დარჩებიან.

ამიტომაც, გვინდა მოგიწოდოთ ერის სახელით გონს მოსვლა და თვალის ახელა, საღად აზროვნება, თქვენს იმ თანატოლებთან გაერთიანება, 18 დეკემბერს რომ შეხვდნენ ბატონ ზვიადს ერისა და პრეზიდენტისათვის თანადგომის, ერთგუ-

## ორი გზა ორი საქართველოსაკენ

ლების დასამტკიცებლად. ნამდვილად არ უნდა გჭირდებოდეთ იმის შეხსენება, რომ სადღეისოდ თქვენი უპირველესი მოვალეობაა ნაყოფიერი, შეგნებული სწავლა, არჩეული სპეციალობის საფუძვლიანად დაუფლება და არა მართალი სიტყვის, საერო საქმეთა მოძულეებისათვის ფრთების შესხმა. სტიპენდიას კი მაშინ მოგიმატებენ, როცა ქვეყანას ამისი შესაძლებლობა მიეცემა და ეს არც ისე შორეული ოცნება გახლავთ. საქართველო მაშინ თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნება და თქვენი გაუნელებელი სწავლით, ჩვენი მკლავმოუღლელი გარჯით იმგვარ ყოფას დავიმკვიდრებთ, ცივილიზებულსა და განვითარებულ ქვეყანას, უმდიდრესი წარსულისა და კულტურის ერს რომ შეეფერება. ამას ყველაფერს კი უმტკიცესი საფუძველი სჭირდება - ერის ერთობა, ურთიერთთანხმობა, ურთიერთმიტევება, ურთიერთდათმობა, ურთიერთსიყვარული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სანუკვარ მიზანს გვიან და უდიდესი გვემა-წამების, მძიმე ტკივილების, აუნაზღაურებელი მსხვერპლის გაღებით მოვიპოვებთ.

აი, რა წერია სახარებაში: „თუ სამეფო თავისივე წინააღმდეგ დაიყოფა, ის სამეფო ვეღარ გაძლებს" (მათე, 12, 25).

გზააბნეულებო, ჩაუფიქრდით ჯერ კიდევ როდის თქმულ ბრძნულ ჩაგონებას!

*23 დეკემბერი, 1991 წელი.*

მინაწერი: არგასაგონ, გაუსაძლის გაჭირვებასა და ტკივილში განვლო ამ წერილის დაწერიდან ცხრა წელიწადმა. დრო ხანგრძლივი, უერთგულესი მრჩეველი უნდა გამხდარიყო წერილში მოხსენიებული სტუდენტების იმ მცირე ნაწილისათვის, მაშინ რომ უკანონობას დაუჭირეს მხარი, გვერდში ამოუდგნენ ერის მოღალატეებსა და ქვეყნის გამყიდველ-



დამაქცევრებს. დრო ერთგვარი მკურნალი უნდა გამხდარიყო სულიერად, გონებრივად დაძაბუნებულთათვის და დღენიადაგ მონანიებაზე, განწმენდაზე უნდა ეფიქრ-ეზრუნათ. დასანანია, რომ კაცთმოძულე წითელ მამამთავართაგან ცდუნებულ-დამონებულებმა ეს მცირედითაც ვერ შეძლეს, უფრო სწორად, არ მოისურვეს და იმთავითვე სატანას სულმიყიდულები, დღემდე მის მორჩილ უსულო არსებებად დარჩნენ. უფრო მეტიც, ღალატისა და განდგომის სანაცვლოდ თანამდებობაჩამორიგებულებმა, მომდევნო თაობის მათებრ გადაგვარებული ახალგაზრდების ის მცირე ნაწილი მოწამლეს, დღეს მოქალაქეთა კავშირის კომკავშირულ სექციასა თუ სხვა მსგავს გაერთიანებებში რომ არიან ჩაბუდებულები და უსიტყვოდ, მორჩილად აკეთებენ შავსა და ბინძურ საქმეებს. შორს არ წავალთ, შარშან აგვისტოში, ომალოს „შემთხვევით" დაბომბვის ფაქტს აღვნიშნავთ.

„მოწინააღმდეგის ამ აგრესია-ძალადობით აბუჩად აგდებულ-შეურაცხყოფილმა" სმაკელ-კომკავშირლებმა „ვერაფრით აიტანეს სამშობლოს საზღვრების ხელყოფა" და „აგრესორის" თბილისურ სამყოფელთან „ხმაურიანი საპროტესტო აქცია" მოაწყეს. ცისფერ ქალაჩუნათათვის დამახასიათებელი წივილ-კივილით „გაგულისებულებმა ღირსეულად მიუზღეს თავდამსხმელს" და ქაღალდის თვითმფრინავებით „გააცამტვერეს" მომხდური. ასეთი გულისამრევი, სამარცხვინო ღნავილით „გააკეთეს საქმე" უკანონოთა მემკვიდრე მოცისფერო ყლორტებმა. დასანანია, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავექცევით - წითელთა ეს საცოდავი ნაშიერები, ერისა და მამულისათვის სამუდამოდ დაკარგული არსებანი არიან.

მაგრამ, დასაღონებელი და თავში საცემი არაფერი გვჭირს იბერებს. მადლობა უფალს, ქართველი ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი სამშობლოსა და ერის უერთგულესი, თავდადებული დამცველია. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქალიშვილები და ჭაბუკები დავითის, თამარის, ცოტნეს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ქაქუცას, კონსტანტინეს, ზვიადის, მერაბის, ქვეყნის ერთგული მამულიშვილებისაგან გაკვალულ გზას მიუყვებიან და ისინი ძალზე ბევრნი არიან.

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ტარიელ ფუტკარაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლელა ხაჭაპურიძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, ქუთარაძის 32
☎ (8 231) 2-16-03; (8 77) 47-69-05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/kugi

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. გამოქვეყნებულ წერილებში წარმოდგენილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.